საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბეჭდვუნი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი-ოთხშაბათი, 27-28 ოქტომბერი. 2020 წ. №143-144 (9069-9070) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

რატომ მტრობენ საკუთარ ქვეყანას?

ორი არაკაცი არამზადის ღამეული ჭორჭური,

ანუ მთავარი საინფორმაციო კანალიზაციის ღრძო სტუმარი

არ მეგულება საქართველოში ისეთი ადამიანი, ვისაც შეიძლება რომ წარმოედგინა კიდევ უფრო ბევრად ბოროტი, ავენა, ავყია, ყბაღია, ღვარძლიანი, ღვთის გარეგანი, მუხანათი, მუხთალი, ვერაგი, ფლიდი, ცბიერი, მზაკვარი, თვალთმაქცი, თაღლითი, გულჭრელი და ვირეშმაკა (ეპითეტების უსასრულო გაგრძელება შეიძლება!), იმ კარგ გოგოლაძეთაგან, რომელნიც, საბედნიეროდ, არცთუ ცოტანი არიან ამჟამინდელ საქართველოში. სახელი პასპორტით კი ჰქვია ამ ადამიანს (SIC!), მაგრამ სინამვდილეში ასეთებს სახელი არა აქვთ. თუმცა თავისი აზრით, თავისი შვილებისა და შვილიშვილებისთვის სწორედ სახელის დატოვებას ეპირება.

როგორ წარმოგიდგენიათ თქვენს მამად ან პაპად, ან სულაც წინაპრად ასეთი გველივით ჭრელი ადამიანი, რომელიც ახალგაზრდა ქართველმა კაცმა, როგორც თავადვე ამბობს, გამჭრიახმა და თავისებურად ნიჭიერმა, მთელი ხუთი წელიწადი გვერდით ამოიყენა, კარგი ასვა და აჭამა, ჩააცვა და დაახურა, ოჯახი უმაღლესად აცხოვრებინა და, ბოლოს, რა? ეს ახალგაზრდა ქართველი კაცი, რომელმაც თავისი გამჭრიახობითა და თავისებური ნიჭიერებით საბჭოთა კავშირის ნგრევის ჟამს დიდძალი კაპიტალი დააგროვა და თავი გაიქველმოქმედა, სწორედ ხუთი წლის შემდეგ დარწმუნდა, რომ კაცი, მეგობარი კი არ ჰყავდა გვერდით, არამედ გველი ესვა უბეში. რასაკვირველია, ამ ახალგაზრდა ქართველ კაცს, გამჭრიახსა და თავისებურად ნიჭიერს, სრული უფლება ჰქონდა, რომ გველი უბიდან ამოესვა და თავიც გაეჭეჭყა, მაგრამ არა, პირიქით მოიქცა. ამოსმით კი ამოსვა, ოღონდ თავი კი არ გაუჭეჭყა, სორო კეთილმოუწყო და ისე გაუშვა.

მაგრამ გველი რისი გველია, რომ შხამსა და სამსალაზე უარი თქვას და ნესტარი არ ასარსალოს, და აი, სწორედ ამ ნესტრის სარსალისა და შხამ-სამსალის ნთხევის მოწმენი გახდნენ გვარამია-წკვარამიას, ანუ სააკანთ ბიჭის ყურმოჭრილი გამხმიანებლის საინფორმაციო კანალიზაციის მსმენელ-მაყურებელნი კვირას, 25 ოქტომბერს, გვიან ღამით.

იხ. 2 გვ.

სიახლეს ისინი ეწინააღმდეგებიან, ვისთვისაც ის გაუგებარია...

...და თუ არა ცოდნა სხვა ვერაფერი გვიხსნის სიღარიბისგან, თუ არა ის ხერხი, ის ძალ-ღონე, რომელსაც მარტო ცოდნა და სწავლა-განათლება იძლევა“

ილია მარნიალი (ჭავჭავაძე)

ახალი ტექნოლოგიები - ქვეყნის გადარჩენისა და გამდიდრების წყარო

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ გიორგი გახარიას

ბატონო გიორგი,

ვიდრე ძირითად საკითხზე მოგახსენებდეთ, უნდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ გაეროში და ბრიუსელში თქვენი ბრწყინვალე გამოსვლის გამო, დარწმუნებული ვარ, ქვეყნის ჭეშმარიტი პატრიოტი ჩემს აზრს იზიარებს, ხოლო მტრები — მოღალატე, გესლიანი, ხარბი, მევახშე და უჯიშო, ვინც საერთო უბედობის ჟამს გამდიდრდა, ან როგორც ფრანგი პოლიტიკოსი ტალეირანი ამბობდა, თანამდებობას „მცოცავი ქვემძრომობით“ მიაღწია, ყველაზე კარგად მათ ავ საქმეს ქართველი ხალხი და ისტორია განსჯის, ამ ტიპის ადამიანებს პოლიტიკაში ძირითადად ამოძრავებს კერძო ეგოისტური ინტერესები, საკუთარი ტერიტორიების მტრისათვის ჩაბარება და გაყიდვა, ბიზნესის ტერორი და ა.შ., რის გამოც საღი აზრიდან ყოველთვის შორს არიან.

გაგიკვირდებათ, ამ გაგანია პანდემიის და კარს მომდგარი არჩევნების პირობებში რა დროს მეცნიერების პრობლემებზე საუბრის დროა! მაგრამ არა! სწორედ ახლა ქვეყნის გადარჩენაზე (თქვენ ერთხელ შეძელით) და მომავალზე ზრუნვაა საჭირო, რაზედაც ჯერ კიდევ სამი წლის წინათ (27.05.2017 წ.) ვისაუბრეთ იყალთოში მეუფე დავითთან „ქვევრის პირველი სკოლა აკადემიაში“.

იხ. 3 გვ.

ბერდიაკონი გიორგი (რუხაძე)

სიცრუისგან სინდისდამწვარნი

სინდისის ჩამხშობი საშუალებები. ყველას სმენია ქართული სიტყვები: სინდისგარეცხილი, სინდისდამწვარი, ნამუსგარეცხილი... ეს ზედსართავი სახელები გამოიყენება იმ კაცის მიმართ, ვინც დაბადებიდან თანდაყოლილი ანუ მხოლოდ ადამიანისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი თვისება — სინდისიერება — საკუთარ თავში ჩაკლა და ჩაახშო. იგი აღარ წუხს თავის უმსგავსო საქციელზე და, თავისთავად, არც სინანულის გრძნობა აქვს.

იხ. 5 გვ.

თენგიზ ცერცვაძე: „ნეტავ, რა უხარიათ?!“



საიდან ამდენი ღვარძლი და ბოღმა?!

თბილისის ინფექციური საავადმყოფოს ხელმძღვანელმა თენგიზ ცერცვაძემ ორიოდე დღის წინ „ფეისბუქში“ პოსტი გაავრცელა. მკითხველის თხოვნით გთავაზობთ მის საგაზეთო ვარიანტს.

„ბატონი გიორგი კანდელაკი ა.წ. 12 სექტემბერს გამოქვეყნებულ ფეისბუქპოსტში წარუმატებლად შეეცადა, ნეგატიურად შეეფასებინა ქვეყანაში სახელისუფლებო ვერტიკალისა და ექიმების მიერ კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო პოლიტიკა და ღონისძიებები (მაშინ მან თავი აარიდა ჩვენთან ამ საკითხზე ტელედებატებს).

ა.წ. 17 და 18 ოქტომბერს ბ-ნმა გიორგიმ და ბ-ნმა რევაზ ბოჭორიშვილმა (რომელიც საფრანგეთში საქმიანობს) გამოაქვეყნეს პოსტები, სადაც დაუფარავი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ჯანმოს საერთაშორისო კვლევა Solidarity-ის შუალედური შედეგების მიხედვით, არ დადასტურდა მედიკამენტ რემდესივირის (ისევე, როგორც ამ კვლევაში ჩართული სხვა მედიკამენტების) ეფექტი კოვიდ-19-ის მკურნალობაში და ნიშნის მოგებით და ძალიან ნეგატიურად აფასებენ ქვეყანაში კოვიდ-19-ის კლინიკური მართვის პროცესს. სრულიად გაუგებარია, რა უხარიათ ან რა აქვთ ნიშნის მოსაგები და სასაყვედურო. **საიდან ამდენი ტყუილი, ღვარძლი და ბოღმა.**

იხ. 4 გვ.

ორი არაკაცი არამზადის ღამეული ჭორჭური

(მეორე გვერდიდან) მეკანალიზაციე გვარამიამ პირდაპირ ეთერში დაკითხვა მოუწყო რუსული სპეცსამსახურების აგენტს, ავადსახსენებელ ვინმე არაკაც ელდარ გოგოლაძეს, რომელსაც, როგორც პატარა უტვინო ბიჭს, შემაგულიანებელ და წამქეზებლურ კითხვებზე აპასუხებინებდა ათას მონაჭორს, ბევრად უფრო მეტი არაკაცი გვარამია, სააკაშვილის დროინდელი ნამინისტრალ-ნაპროკურორარალი...

ეს ორი არამზადა არაკაცი შეთანხმდა, რომ ივანიშვილს ჭორაობა უყვარს, ეს მაშინ, როცა თვითონ მთელი ორი საათი იჭორავეს, მაგრამ რა იჭორავეს! გულუბრყვილო მაყურებელს ძილი გაუფრთხეს.

ეს ორი არამზადა არაკაცი შეთანხმდა, რომ ივანიშვილი სულაც არ არის ქველმოქმედი, პირიქით, ფულის საშოვნელად მოვიდა საქართველოში. მაგრამ რატომ დახარჯა ქველმოქმედებისთვის სამ მილიარდზე მეტი, ამაზე კრინტი არ დაუძრავთ...

ეს ორი არამზადა არაკაცი შეთანხმდა, რომ ივანიშვილი დემოკრატიის დაუძინებელი მტერია, მაგრამ სიტყვა არ დასცდენიათ, რომ სწორედ ამჟამინდელ არადემოკრატიულ პირობებში უხდებათ გვარამიას საინფორმაციო კანალიზაციიდან ათასი ტყუილის, სიცრუისა და ცილისწამების კორიანტელის დაყენება.

ეს ორი არამზადა არაკაცი შეთანხმდა, რომ ივანიშვილი მკვლელია, მაგრამ ვერც ერთი ფაქტი ვერ გაახმიანეს, მხოლოდ „ქართული ოცნების“ მმართველობის ჟამს თუ ვინმე თავისი სიკვდილით აღესრულა, ყველა ჩამოთვალეს და ყველას სიკვდილი ივანიშვილს დააბრალეს, თავიანთი მასობრივი მკვლელობები ჩვეულებისაებრ, იგულმავიწყეს.

ეს ორი არამზადა კაცი შეთანხმდა, რომ ივანიშვილი საშიშია სახელმწიფოს შემდგომი განვითარებისთვის. ამიტომ 30 ოქტომბერს ანდა სულაც 31 ოქტომბერს „გაზპრომს“ თვითმფრინავი უნდა გამოაგზავნინოს, ჩვიდმეტკაციანი, გუდა-ნაბადი აიკრიფოს და გაიქცეს. თუ ასე არ მოხდა, მაშინ ვის მოუწევს იმ ჩვიდმეტკაციანი თვითმფრინავით კუდის ამოძუება, ისევ და ისევ კრინტი არ დაძრულა.

ერთადერთი, რაზეც შედარებით სწორად შეთანხმდა ეს ორი არამზადა არაკაცი, ის არის რომ ივანიშვილმა ყოველთვის ზუსტად არ იცის ადამიანების შერჩევა, რის მაგალითიც თვითონ ეს მუხანათი ვინმე ელდარ გოგოლაძეა, რომელმაც 25 ოქტომბერს ნათელი გახადა თავისი არაკაცობა თავისავით არამზადა არაკაცთან ჭორაობისას.

გუშინ რედაქციაში დარეკა იმ ჩვენმა მკითხველმა, ვისთანაც რამდენიმე წელი უმუშავია ამ ეგრეთ წოდებულ ელდარ ჭორიკანას. როცა ვკითხეთ, რას დაუწერდი, როგორ შეაფასებდი ამ სამარცხვინო კაცის კაცობასო, ეგრევე ჩაიძახა ყურმილში: ნულს, ბატონო, ნულსო!..

ეს რა ნაძირალა ყოფილა, კაცოოო!!!

ზუგდიდში „საქართველოს ბანკზე“ თავდასხმაში ბრალდებული ბადრი ესებუაა!

შინაგან საქმეთა სამინისტრო ადასტურებს, რომ ზუგდიდში, „საქართველოს ბანკის“ ფილიალზე მომხდარი თავდასხმა ბადრი ესებუამ განახორციელა.

ამის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტში ბრიფინგზე მინისტრის მოადგილემ **ვლადიმერ ბორცვაძემ** განაცხადა. როგორც ბორცვაძემ აღნიშნა, ესებუას იდენტიფიცირება თავდასხმის ღამესვე მოხდა.

„მიმდინარე წლის 25 წოქტომბერს გავრცელებული განცხადების და მასში აღნიშნული მოწოდების მიუხედავად, გარკვეულმა მედიასაშუალებებმა ზუგდიდში, „საქართველოს ბანკის“ ფილიალზე მომხდარ თავდასხმაში იდენტიფიცირებული პირის ფოტოების და ვინაობის შესახებ ინფორმაცია გაავრცელეს, იმაზე ადრე, ვიდრე ამას სამინისტრო დაადასტურებდა. ასეთი სიმძიმის დანაშაულზე ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებების პარალელურად ინფორმაციის გავრცელება ხელს უშლის გამოძიების პროცესს, მიმდინარე და დაგეგმილ საპოლიციო ღონისძიებებს. ვინაიდან საზოგადოების ნაწილისთვის უკვე ცნობილია აღნიშნული პირის ვინაობა პოლიციის მიერ ჩატარებული ოპერაციული, სამძებრო ღონისძიებების შედეგად, თავდასხმაში მონაწილე იდენტიფიცირებული პირია 1988 წელს დაბადებული ბადრი ესებუა.

მისი ადგილსამყოფელის დადგენის მიზნით პოლიცია საგამოძიებო და სამძებრო მოქმედებებს აქტიურად განაგრძობს“, — განაცხადა ბორცვაძემ.

* * *

წუხელ სოფელ გრიგოლიშში, ბადრი ესებუას საცხოვრებელ სახლში ჩხრეკა და სხვა სამძებრო ღონისძიებები ჩატარდა.



„საბოლოოდ საქართველო იძულებული გახდება, ჩინეთსა და დასავლეთს შორის არჩევანი გააკეთოს“

ჩინეთმა **იმედი გაუცრუა ქართველ ლიდერებს, რომლებიც იმედოვნებდნენ, რომ მათ სუპერ ძალებს შორის ბალანსის დაცვა შეეძლოთ. ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობებში იმედგაცრუება იზრდება. „ერთი სარტყელი — ერთი გზის ინიციატივისა“ და ჩინეთის გეგმების რეალიზაციისთვის საქართველოს გეოგრაფიული მნიშვნელობის გათვალისწინებით ქართულ ელიტას მომავლის დიდი იმედი ჰქონდა. სადღეისოდ კი ენთუზიაზმით განწყობილი ცოტა ადამიანი დარჩა.**

ურთიერთობა იმედისმომცემად გამოიყურებოდა. კერძოდ, 2017 წელს ჩინეთმა და საქართველომ ხელი მოაწერეს „თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ შეთანხმებას, ამ ნაბიჯით საქართველოს ლიდერები იმედოვნებენ, რომ ხელშეკრულება ხელს შეუწყობდა ექსპორტს და საქართველოს ეკონომიკის განვითარებას.

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობას მოლოდინი ჰქონდა, რომ ჩინეთის ინვესტიციები გაიზრდებოდა საქართველოს ინფრასტრუქტურაში, კერძოდ, შავი ზღვის პორტებში, ფოთში, ბათუმში, ანაკლიაში, ასევე აღმოსავლეთ-დასავლეთის სარკინიგზო და საგზაო კავშირებში. ამ მიზნით თბილისში რამდენიმე მასშტაბური საინვესტიციო ფორუმი ჩატარდა.

ასევე განიხილებოდა ჩინეთთან უფრო მჭიდრო კავშირების დამყარება, როგორც საქართველოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კომპონენტი, რუსეთის რეგიონული გავლენის დაბალანსების ხელშემწყობი და ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსეთის სამხედრო ნაბიჯების წინააღმდეგ ჩადებული ინვესტიცია.

აღსანიშნავია, რომ იმედები ვაჭრობის გაუმჯობესების თაობაზე არ გამართლდა. მიუხედავად იმისა, რომ მთლიანი მოცულობის სტაბილური ზრდა შეინიშნებოდა, სტატისტიკის თანახმად, საქართველო ძირითადად ნედლეულის ექსპორტს ახორციელებს ჩინეთში, როგორიცაა სპილენძი და სხვადასხვა სახეობის ქიმიკატები. უფრო მაღალი ღირებულების სასაქონლო ვაჭრობა არ განხორციელებულა. პარალელურად გაიზარდა შეშფოთება კორუფციული საქმიანობის გამო, განსაკუთრებით იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეძლეს ჩინურმა კომპანიებმა ხელშეკრულების მოპოვება. აღნიშნულის ერთ-ერთი საილუსტრაციო შემთხვევა ეხება Powerchina-ს შვილეულ კომპანია Sinohydro-ს, რომელმაც ხულო ზარზმის გზის 42-კილომეტრიანი მონაკვეთის რეკონსტრუქციისთვის გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა. ტენდერის ღირებულება 26,3 მილიონ ევროს შეადგენდა. Sinohydro-ს როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ ცნობილია კორუფციით, გარემოსთვის ზიანის მიყენებით და მაინც, ეს კომპანია იგებს ახალ ტენდერებს.

გარდა ამისა, თბილისში პოლიტიკოსებისთვის აშკარა გახდა, რომ ჩინეთი რუსეთთან მისთვის უფრო მნიშვნელოვანი ურთიერთობების დაზიანებას არ შეეცდება. მაგალითად, ჩინეთი საერთოდ ვერ ეხმარება საქართველოს ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს დიპლომატიურ საკითხებში. მან არაერთხელ მისცა ხმა გაეროს რეზოლუციის „აფხაზეთიდან (საქართველო) და ცხინვალის რეგიონიდან (სამხრეთ ოსეთი, საქართველო) იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ წინააღმდეგ. პეკინს არც ერთხელ არ დაუგმია დე ფაქტო საპრეზიდენტო ან საპარლამენტო არჩევნები, რომლებიც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩატარდა. ამასთან, ჩინეთი რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ კიბერშეტევებზე დუმილს ინარჩუნებს. იგი ცხინვალის ოკუპირებულ რეგიონში რუსულ „ბორდერიზაციის“ პოლიტიკაზეც დუმილს ინარჩუნებს. უფრო მეტიც, ჩინეთის თავდაცვის სამინისტრომ ღიად განაცხადა, რომ ძაფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სამხედროებთან ერთად“ მონაწილეობას მიიღებდა რუსეთის ხელმძღვანელობით დაგეგმილ სამხედრო წვრთნებში „კავკაზ -2020“.

გარდა ამისა, ჩინეთი კრემლს დაეხმარა ქვეყანაში დეზინფორმაციის დათესვაში. მაგალითად, 2 სექტემბერს ჩინეთის სახელმწიფო მედიასაშუალებამ China Daily tzdmdti დაყენა თბილისის ლუგარის ლაბორატორიის საქმიანობა, რომელიც აშშ-ის მიერ არის დაფინანსებული და განაცხადა, რომ ლაბორატორია საქართველოსთვის სავარაუდოდ, ბიოლოგიურ რისკს წარმოადგენდა, რომ საქართველოს მოქალაქეებს იქ სავარაუდოდ, საცდელ სუბიექტებად იყენებდნენ.

ეს ყველაფერი ეწინააღმდეგება დასავლელი პარტნიორების საქართველოს მიმართ? განწყობებს, რომლებიც მუდმივად მხარს უჭერენ საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებს ისევე, როგორც მის ტერიტორიულ მთლიანობას.

ჩინეთთან მზარდი იმედგაცრუების ფონზე საქართველოს ლიდერები განაგრძობენ ჩინეთსა და დასავლეთთან კავშირების შენარჩუნებას. მაგრამ რაც უფრო მკაცრდება ამერიკის პოზიცია ჩინეთთან მიმართებაში, ამ ბალანსის დაცვა უფრო და უფრო რთული იქნება. წლევანდელი წლის დასაწყისში საქართველოს მთავრობისადმი გაგზავნილი მთელი რიგი საჯარო წერილების თანახმად, აშშ-ის კონგრესმენებმა და სენატორებმა აშკარად აღნიშნეს, რომ საქართველომ თავიდან უნდა აიცილოს ჩინეთთან ღრმა კავშირები და მჭიდროდ გაეცნოს დასავლეთის სტანდარტებს და სავაჭრო პრაქტიკას.

დაბალანსების ქმედება უბრალოდ არამდგრადია. საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრების მისწრაფებები, მისი გეოპოლიტიკური ორიენტაციის ქვაკუთხედი, შეუსაბამო და გამაღიზიანებელია ჩინეთისთვის, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ალიანსი აძლიერებს ძალისხმევას, რათა შეაჩეროს ჩინეთის მზარდი სამხედრო ამბიციები ინდოეთ-წყნარი ოკეანის რეგიონში. საბოლოოდ საქართველო იძულებული გახდება, მხარეებს შორის არჩევანი გააკეთოს.

დასავლეთსა და ჩინეთს შორის დაძაბულობის ფონზე, ველით, რომ საქართველო უფრო მტკიცედ დაუჭერს მხარს დასავლეთს, არა მხოლოდ პოლიტიკურად, არამედ უფრო მეტად ეკონომიკურად, დასავლური 5G ტექნოლოგიების, ასევე სავაჭრო და ინვესტიციის სტანდარტების გათვალისწინებით.

ემილ ავდალიანი

სტატიას „ევროპული პოლიტიკის ანალიზის ცენტრი“ აძვეყნებს.

სიახლეს ისინი ვინაადღეგებიან, ვისთვისაც ის გაუგებარია...

(პირველი გვერდიდან)

მტერმა და მოყვარემ იცოდეს, რომ ჩვენი ინოვაციური მაღალი ტექნოლოგიების სამუშაოებიდან, რომლებიც ეფუძნება ნანომეტრული ზომის სისტემების და ფუნქციონალური კერამიკის ურთიერთშერწყმის პრინციპს, გამოვყოფთ ორ საკითხს: ძვირფასი და სტრატეგიული ლითონების და ქვების (თვალი პატიოსანი) სინთეზი; ქვევრის ღვინოში წყლის (H_2O) გარდაქმნა მე-4 სტრუქტურის (H_3O_2) სამკურნალო წყლად.

წარმოდგენილი სამუშაოების ხორცშესხმით საქართველო კვლავ ფეხზე დადგება, გაბრწყინდება, გამდიდრდება, გამთლიანდება და გახდება დეფიციტური პროდუქციის წარმატებული ექსპორტიორი ქვეყანა მსოფლიო ბაზარზე. წინასწარი გათვლებით კომბინატი განთავსდება ათეულობით ჰექტარზე, სადაც დასაქმდება რამდენიმე ათასი ადამიანი.

მიუხედავად იმისა, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში მეცნიერებმა ციურიხში (შვეიცარია) შექმნეს მასკანირებელი გვირაბისებური და ატომური ძალოვანი მიკროსკოპები, ხოლო ფიზიკოსებმა ელექტროველისა და სპეციალური ზონდის გამოყენებით შეძლეს, გამოეკვლიათ მასალები ატომურ დონეზე (დაენახათ ატომები) და მოეხდინათ ცალკეული ატომების ერთმანეთთან შერევა-მანიპულირება, მაინც ოდესმე, თუნდაც 2050 წელს საზოგადოება გაკვირვებული იქნება, იმით, რომ 2020 წლამდე არავინ თვლიდა, სერიოზულად ემუშავა ზემოაღნიშნულ საკითხებზე, ანუ ჩაეტარებინათ გამოკვლევები ნანოსისტემების და ფუნქციონალური კერამიკის მიმართულებით.

ვინაიდან ჩვენი თემატიკის დამუშავება, მისი სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მოითხოვს სერიოზულ ფინანსურ ხარჯებს და მიუხედავად მცდელობისა, არავინ დაგვხმარებია, იძულებული გავხდი, კონკურსით მოპოვებული თანამდებობა შემეცვალა მოწვეული პროფესორის ამორფული თანამდებობით, რომ დამატებით მიღებული მიზერული სახსრებით კვლევები არ შეფერხებულიყო. მივმართე საქართველოს განათლების, მეცნიერების და სპორტის მინისტრს, ვთხოვდი შეხვედრას, რომ გამეცნო ჩვენი კვლევის შედეგები. სამწუხაროდ ბატონმა მიხეილმა ჩვენი თხოვნა გადასცა მესამე და მეოთხე რანგის პირებს, რის გამოც, როგორც მუხრანი იტყოდა: რაც შევიტანე, ისევე ის გამოვიტანე იმ სახელგანთქმულ... – ჩემი ერთგვერდიანი წერილი აღმოჩნდა, რბილად რომ ვთქვა, არაკომპეტენტური ადამიანების ხელში, რომლებიც ნანო და კერამიკის ტექნოლოგიებში ისე ერკვევიან, როგორც მე ეთიოპიის კონსტიტუციაში... „მესმის, რომ ბევრი უნიჭოა და მიისწრაფის თბილი ადგილისაკენ, მაგრამ ამდენი თუ იყო უნიჭო და უნამუსო, რას წარმოიდგენდა კაცი“ (ოტია იოსელიანი).

კერამიკა დღეს ის აღარ არის, რაც ერთი საუკუნის, თუნდაც რამდენიმე ათეული წლის წინათ იყო. მოვიყვან მხოლოდ გამოჩენილი ფიზიკოსის, ნობელის პრესიის ლაურეატის ვ. გინზბურგის სიტყვებს, როცა მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა ამერიკელი ფიზიკოსების, ნობელის პრემიის ლაურეატების დ. ბედნორცის და კ. მიულერის მიერ ოქსიდური კერამიკისგან მაღალტემპერატურული ზეელექტროგამტარი მასალის მიღება: „საინტერესოა, რომ ეს არ არის ერთი შემთხვევა, როცა კერამიკა გახდა პროგრესის „სასხლეტი კაუჭი“, 2700 წლის წინათ კაცობრიობამ თავისი არსებობის ისტორიაში მოახდინა ყველაზე დიდი ტექნიკური გადატრიალება. შექმნა ხელოვნური მასალები და ეს იყო სწორედ კერამიკა“, ან კიდევ: ქიმიის, ფიზიკის, სილიკატების ტექნოლოგიის და გეოლოგიის თანამშრომლობამ მიგვიყვანა ჩვენ იმ ახალ მრეწველობასთან, როდესაც რკინის საუკუნე იცვლება კერამიკული მასალების საუკუნით – კომენტარი ზედმეტია! ამიტომ ავმესიტყვეების მიმართ ორლესური მახვილია გერმანელი მეცნიერის ი. შნაიდერის სიტყვები: „წინააღმდეგობა არ გაუწიო სიახლეს მხოლოდ იმიტომ, რომ ის შენთვის გაუგებარია“.

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების მეცნიერულ კვლევებში უკანასკნელ წლებში შეინიშნება ახალი მიმდინარეობა ე.წ. „კერამიკული აფეთქების“ სახით: მილიარდობით ინვესტიციები, ათასობით დასაქმებული სპეციალისტი, პუბლიკაციებისა და ინფორმაციის ლავისებურმა მოდინებამ ბიძგი მისცა ნამდვილ რევოლუციას მასალათმცოდნეობაში. ფასდაუდებელია საქართველოში სილიკატური მეცნიერების ფუძემდებლის, ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ კალისტრატე ქუთათელაძის ღვაწლი ტრადიციული და ტექნიკური კერამიკის მიმართულებით. ამავე დროს, ბატონი კალე იყო ქართველი ადამიანისათვის დამახასიათებელი ამაღლებული თვისებებით და სულიერი სისპეტაკით შემკობილი. სამწუხაროდ, დღეს ცოტა გვყავს ასეთი ოსტატები მეცნიერებაში.

რაოდენ საწყენია, რომ მის მიერ დაფრთიანებულ ზოგიერთ პერსონას შეეყარა ამნეზიის და უმადურობის სენი, მათ გავახსენებ კორსიკელი ნაპოლეონის სიტყვებს: „ადამიანს ღალატს ვაპატიებ, უმადურობას არა“.

ბოლო დროს შეინიშნება კერამიკის ტექნოლოგიაში არაკომპეტენტური ადამიანების გაზრდილი რაოდენობა, რომლებიც ვერ ერკვევიან ელემენტარულ თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებში, უშვებენ უხეშ შეცდომებს. მდგომარეობის ძირითადი მიზეზია ბოლო ათ წელიწადში განათლების სამინისტროს, ფაკულტეტის დეკანატის და დეპარტამენტის ნაკლები ყურადღება XXI საუკუნის მასალის – კერამიკის მიმართ.

ბატონო გიორგი, თუ მთავრობა მხარს დაგვიჭერს, ტექნიკური უნივერსიტეტის ფარგლებში შესაძლებელია, ჩამოვაყალიბოთ წარმოება, რომელიც გამოუშვებს ადგილობრივი რესურსების გამოყენებით ჩვენ მიერ მიღებულ სხვადასხვა ნაწარმს: 12%-იანი თხევადი ოქრო, მაღალი ხარისხის მხატვრული მინანქრები, ტიხრული, აღდგენითი ცეცხლის, ვიტრაჟული, ფერწერული ტექნიკით მომინანქრებული ლითონის და ფაიფურის საერო და საეკლესიო ნაკეთობები, ძვლის ფაიფური, მაიოლიკა, ტერაკოტა, ვიტრიეს ჩაინა, ქრომატული და აქრომატული პიგმენტები, მცირე ტევადობის (20-50-ლიტრიანი) ქვევრები, მაღალი შეღწევადობის რბილი სამკურნალო წამლები, ბენტონიტური თიხებიდან მიღებული საოჯახო მოხმარების მასალები და სხვა. საწარმოში დასაქმდება 30-მდე სტუდენტი სათანადო ანაზღაურებით.

მტკიცე პირობას გაძლევთ – პროდუქციის გასაღებით მიღებული თანხებით უზრუნველყოფთ ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტის ღირსეული თანამშრომლების ხელფასს თითქმის გაორმაგებული რაოდენობით.

ბატონო გიორგი, ბეჭდურ მედიაში არაგონივრულად მიმაჩნია დისკუსია პრობლემურ საკითხებზე, თევზისა არ იყოს, სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ პირი წყლით მაქვს სავსეო... დარწმუნებული ვარ პანდემია და არჩევნები ჩაივლის მშვიდად, ჩვენთვის სასიკეთოდ, შევხვდებით ტექნიკურ უნივერსიტეტში, როგორც თქვენ დაგვპირდით იყალთოში უმწიკვლო მოწმეების თანდასწრებით (მეუფე დავითი, ქალბატონი მაია ცქიტიშვილი), მაშინ დაწვრილებით გაგაცნობთ იმ სამუშაოებს, რომლებზეც თქვენ დაინტერესდით ქვევრის სკოლაში ჩვენ მიერ მოწყობილი გამოფენის დროს.

პატივისცემით,
გურამ გაფრინდაშვილი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს დამსახურებული გამომგონებელი, „იყალთოს ქვევრის პირველი სკოლა-აკადემიის“ მეცნიერ-კონსულტანტი
ტელ. 599567765

P.S.

ბატონო გიორგი, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის გახსნის საზეიმო ცერემონიალზე თქვენ ბრძანეთ, რომ ფუნდამენტალურ მეცნიერებებს, განათლებას აქვს დიდი მნიშვნელობა, ამიტომ წელს უნივერსიტეტში ყველაზე მეტი სტუდენტი ჩაირიცხა კომპიუტერული მეცნიერების პროგრამაზე. სწორედ ახლა ჩაირიცხა კომპიუტერული ინჟინერიის სპეციალობაზე ჩემი შვილიშვილი თამარ სანაძე გერმანიაში ჯეკოპსის უნივერსიტეტში (ქ. ბრემენი).

რაც შეეხება იმას, რომ ქუთაისის უნივერსიტეტში „არ იქნება ჩვენი თაობის მეცნიერება“ ნაწილობრივ გეთანხმებით, ვინაიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არის კვლევები, რომლებიც უპასუხებს XXI საუკუნის მოთხოვნებს.

ვუერთდებით ქალბატონ პრეზიდენტს სალომე ზურაბიშვილს და უღრმეს მადლობას ვუხდით ჩემს თანამემამულეს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს და მის ოჯახს ამ უდიდესი ეროვნული ქველმოქმედებისათვის.

გ. გ.

ჯეიმს კარაფანო: „აშშ საქართველოს დასახმარებლად ყველაფერს გააკეთებს“

„შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს ინტერესს, იყოს უფრო სტაბილური ევროპის ნაწილი და ვფიქრობ, ამერიკა გააკეთებს ყველაფერს საქართველოს დასახმარებლად, რადგან ეს ჩვენი სტრატეგიისათვის და დასავლეთ ევროპის მომავლისთვის კარგია“, – ამის შესახებ „ჰერიტიჯის ფონდის“ მკვლევარმა ჯეიმს კარაფანომ „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციასთან საუბრისას განაცხადა. მკვლევარის თქმით, შეერთებული შტატების მხარდაჭერა საქართველოს ნატოში გაწევრიანების მისწრაფების ხელშეწყობის კუთხით გაგრძელდება.

„ნებისმიერი პოლიტიკური პარტიიდან მომავალ ადმინისტრაციას ექნება პოზიცია, რომ რუსეთს არა აქვს უფლება, დაადოს ვეტო იმას, თუ ვინ გაწევრიანდება ნატოში“, – განაცხადა კარაფანომ. მისი თქმით, შავი ზღვის აუზში, რუსეთის გავლენის მოპოვების მცდელობის კვალდაკვალ, შეერთებული შტატების ინტერესი საქართველოს მიმართ იზრდება.

„ვფიქრობ, სტაბილური და წარმატებული ევროპის ამერიკისეულ ხედვაში საქართველო უფრო და უფრო რელევანტურია. შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს ინტერესს, იყოს უფრო სტაბილური ევროპის ნაწილი და ვფიქრობ, ამერიკა ყველაფერს გააკეთებს საქართველოს დასახმარებლად, რადგან ეს ჩვენი სტრატეგიისთვის და დასავლეთ ევროპის მომავლისთვის კარგია“, – განაცხადა მან.

კარაფანოს განცხადებით, აშშ-ის პოლიტიკა რუსეთთან შენარჩუნდება, მიუხედავად იმისა, თუ ვინ დაიკავებს თეთრ სახლს ნოემბრის არჩევნების შემდეგ

„პრეზიდენტი ტრამპი რამდენჯერმე მოექცა კრიტიკის ქარცეცხლში ვლადიმირ პუტინის მიმართ გაკეთებული განცხადებების გამო. პრეზიდენტი ასევე საუბრობდა იმაზე, რომ მოსკოვთან ურთიერთობების გაუმჯობესებისთვის კარი ღია იყო. ტრამპის მხრიდან ამ რიტორიკის მიუხედავად, ადმინისტრაცია ინარჩუნებდა რუსეთის მიმართ მკაცრ პოლიტიკას. პრეზიდენტი ინარჩუნებდა სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ. შეერთებული შტატები საუბრობდა რუსეთის ჩარევაზე და ქმედებებზე. არ ვფიქრობ, რომ ეს შეიცვლება. აქ პრობლემა არა შეერთებული შტატების ქცევა, ან მისი პოლიტიკაა, ან ევროპის პოლიტიკა, არამედ რუსეთის პოლიტიკაა. პუტინი არ ცვლის მის პოლიტიკას... რუსეთს არ უჩვენებია სურვილი, რომ უნდა უფრო კონსტრუქციული პოლიტიკა ჰქონდეს. სანამ ეს არ მოხდება, შეერთებული შტატების პოლიტიკა არ შეიცვლება“, – განაცხადა კარაფანომ.



თეგიზ ცერცვაძე: „ნეტავ, რა უხარიათ?!“

საიდან ამდენი ღვარძლი და ბოღმა?!

(პირველი გვერდიდან) რა, თუ მედიკამენტები, რომლებსაც მთელი მსოფლიო იმედის თვალით შეჰყურებს არაეფექტიანი ან ნაკლებ ეფექტიანი გამოდგა, ეს სასიხარულოა და ვინმესთვის კარგია? რატომ ვერ ეგუებიან ისინი, რომ ბოლო პერიოდში კოვიდ-19-ით მკვეთრად გაზრდილი ავადმყოფების რაოდენობის მიუხედავად ქვეყანა მაინც წარმატებით მართავს პროცესებს.

მინდა ყველა იმ პირს, რომელიც ხელმძღვანელობს პრინციპით „რაც უარესი, მით უკეთესი“ ვინც ამბობს, რომ ქვეყანაში სიკვდილობა კატასტროფულად იზრდება და ცდილობს წარმოაჩინოს, რომ საქართველომ კოვიდთან ბრძოლაში კრახი განიცადა, მკაფიოდ და გასაგებად ვუთხრა, რომ ეს ტყუილია. დიდი ტყუილი. კოვიდ-პაციენტების მკვეთრად გაზრდილი რაოდენობის პირობებშიც კი საქართველო ინარჩუნებს იმ ქვეყნის სტატუსს, რომელსაც აქვს გარდაცვალების შემთხვევების ევროპის 49 ქვეყანასა და ამერიკის ქვეყნებს შორის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, როგორც პროცენტულად (0,73%), ისე გარდაცვლილთა აბსოლუტური რაოდენობით ერთ მილიონ მოსახლეზე გადაანგარიშებით (48 გარდაცვლილი). ეს ასეა, მოსწონთ თუ არა ეს მათ და შეუძლიათ ამაში მარტივად დარწმუნდნენ, თუ გაეცნობიან ევროპის CDC-ის, ამერიკის CDC-ის, Worldometers-ის და სხვა ავტორიტეტული ორგანიზაციების მონაცემებს. გასაგებია, რომ მათ და მათ თანამოაზრეებს „სხვისი აშენებული ქვეყანა არ უნდათ“, მაგრამ ეს არ აძლევს მათ ადამიანების ბედით მანიპულირების უფლებას.

ბ-ნი რევაზ ბოჭორიშვილი თავის პოსტში წერს **„საქართველოში დღეს რაც ხდება, მსგავსი დაბოლების?! კოვიდის გაპოლიტიზირებისა და მკერდში მჯიღების ცემის შედეგიცაა“?!** ისეთი რა ხდება ბატონო რევაზ, რაც საფრანგეთში არ გინახავთ? მინდა შეგახსენოთ, რომ საქართველოში ბოლო პერიოდში კოვიდ-19-ის შემთხვევების მკვეთრი მატების მიუხედავად, საქართველო ყველა მაჩვენებლით ბევრად სჯობნის საფრანგეთს, სადაც თქვენ საქმიანობთ. კერძოდ, საფრანგეთში 24 ოქტომბრის მონაცემებით სულ აღრიცხულია 1 041 075 შემთხვევა და 34 508 გარდაცვალება (3,31%) მაშინ, როცა საქართველოში აღრიცხულია 26 503 შემთხვევა და 193 გარდაცვალება (0,73%). 1 მილიონ მოსახლეზე გადაანგარიშებით საფრანგეთში კოვიდ-19-ის 15 938 შემთხვევაა და 528 გარდაცვალება, მაშინ როდესაც საქართველოში – კოვიდ-19-ის 6 648 შემთხვევაა და 48 გარდაცვალება – ანუ 11-ჯერ ნაკლები?! ვიდრე საფრანგეთში და ეს მაშინ, როცა საქართველოს ეკონომიკა და ჯანდაცვის სისტემა მთლიანობაში საფრანგეთისაზე ბევრად უფრო სუსტია და კიდევ აქეთ გვედიდგულებით? კოვიდ-19-ის ახალი შემთხვევებითაც კი საფრანგეთში უარესი მდგომარეობაა: 42 038 ახალი შემთხვევაა (1 მილიონ მოსახლეზე – 647), ვიდრე საქართველოში – 1941 ახალი შემთხვევა (1 მილიონ მოსახლეზე – 511). აღსანიშნავია აგრეთვე, რომ საქართველომ ამას სწორედ კოვიდ-19-ის უკეთესი მართვით, მათ შორის უკეთესი კლინიკური მართვით მიაღწია და არა ჩაკეტვებითა და შეზღუდვებით, რამეთუ ეს უკანასკნელი გაზაფხულზეც და მითუმეტეს ახლა გაცილებით უფრო მკაცრი და მასშტაბური იყო საფრანგეთში, ვიდრე საქართველოში (თუ გინდათ ჩამოგითვლით). ასე რომ, ბ-ნმა რევაზმა უმჯობესია თავის საფრანგეთს მიხედოს. ის მაინც გაიხსენოს რა საშინელებები ხდებოდა საფრანგეთში (და ევროპის სხვა ქვეყნებშიც), თუ რამდენი ხანი ელოდებოდნენ ავადმყოფები (მათ შორის მძიმე ავადმყოფები) ტესტის პასუხებს და ჰოსპიტალიზაციას და რამდენი ავადმყოფი მოუკვდათ ისე, რომ საავადმყოფოში მოხვედრაც არ ეღირსათ, ან როგორ მიჰყავდათ მძიმე ავადმყოფები გადასარჩენად მეზობელ გერმანიაში. საქართველოში ხომ ჯერ-ჯერობით არაფერი მსგავსი არ ხდება.

ახლა, ყველაზე გულდასაწყვეტი და ჩვენთვის მტკივნეული.

ბ-ნმა გიორგი კანდელაკმა, რომელსაც უდიდეს პატივს ვცემდით, ჩვენგან ყოველგვარი საბაბის გარეშე ძალიან მოუხშირა არაკორექტულ და შეურაცხმყოფელ პასაჟებს ჩვენს მიმართ. იგი თავის თავს უფლებას აძლევს თავის პოსტებში გამოთქვას თავისი კოლეგების მიმართ ისეთი არაკორექტული და სინამდვილეს მთლიანად აცდენილი ბრალდებები, როგორიცაა: „ღია კორუფციაში“?! ბრალდება კოვიდ-19-ით უსიმპტომო პაციენტების ჰოსპიტალიზაციასთან დაკავშირებით. იგი აცხადებს, რომ კოვიდ-კლინიკები სავსეა პირდაპირ „სახნავ-სათესიდან წამოყვანილი“ უსიმპტომო პაციენტებით (ისე, რომ არცერთ კოვიდ-კლინიკაში ერთხელაც არ არის ნამყოფი), უაპელაციოდ აცხადებს, რომ „ჩვენ უკვე ვავნეთ ასობით ადამიანს“?! ჰიდროქსიქლოროქინით მკურნალობით და შევეცადოთ აღარ ვავნოთ სხვა მკურნალობებით“?! „რომ არ წავიტეხოთ ცხვირი ისე, როგორც მოგვივიდა ჰიდროქსიქლოროქინის შემთხვევაში წარსულში და რემდესივირის შემთხვევაში სულ ახლახანს“?! ეს უკვე სცდება არაკორექტულობის და არაეთიკურობის ფარგლებს და დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, კორუფციის ბრალდებაზე რომ არაფერი ვთქვათ. ხომ შეიძლება ვიღაცამ მართლა დაიჯეროს, რომ ჩვენ ასობით ადამიანს უკვე ვავნეთ?! მითუმეტეს, რომ ჰიდროქსიქლოროქინს კოვიდ-პაციენტების გარდა ბევრი სხვა ავადმყოფებიც იღებენ და ყველა მათგანი სტრესში აღმოჩნდება. ან კიდევ მართლა „წავიტეხეთ ცხვირი“ წარსულშიც და სულ ახლახანს (რა აზრები მოგდით?). ვის რა ვავნეთ ბატონო გიორგი? ან რაზე „წავიტეხეთ ცხვირი“? ჰიდროქსიქლოროქინზე ჩვენთან არცერთი გვერდითი მოვლენა არ გამოვლენილა და პრაქტიკულად ყველა ავადმყოფი განიკურნა, ხოლო რემდესივირი კი ჯერ საერთოდ არ გამოგვიყენებია და რომც გამოგვეყენებინა, რა? მთელი მსოფლიო იყენებს და FDA-მაც უკვე ოფიციალურად დაამტკიცა. კიდევ რაღას ვუცადოთ? გამოდის, რომ თქვენს გარდა ყველამ „ცხვირი წაიტეხა“? და საერთოდ საქართველოში სადღეისოდ 50-მდე კოვიდ-კლინიკა მუშაობს და თან სულ სხვადასხვა გემოვნების და ბ-ნ გიორგის სხვადასხვა კვლევების შედეგებით მანიპულირების ნაცვლად, რომლებიც ისედაც ყველამ კარგად ვიცით, თავისუფლად შეეძლო ემუშავა რომელიმე მათგანში და თავისი წვლილი შეეტანა პაციენტების მკურნალობაში. თორემ სანამ ბ-ნი გიორგი და მისი თანამოაზრეები ცდილობენ იპოვნონ „კატა ბნელ ოთახში“, ჩვენ დიდი წარმატებით ვუმკურნალეთ 26 ათასზე მეტ კოვიდ-19-ით ავადმყოფს ევროპასა და ამერიკაში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი სიკვდილობის მაჩვენებლით.

გიორგი კანდელაკი

რევაზ ბოჭორიშვილი

ახლა რაც შეეხება რემდესივირს.

ეს მედიკამენტი მიუხედავად იმისა, რომ არ იყო იდეალური და ჩვენც არ ვყოფილვართ მისი მეხოტბე, მაინც მთელ მსოფლიოში დიდი ხნის მანძილზე ითვლებოდა და ახლაც ითვლება ყველაზე იმედისმომცემად იმ ანტივირუსულ პრეპარატებს შორის, რომლებიც კლინიკურ კვლევებს გადიან. ამ პრეპარატზე უზარმაზარი მოთხოვნა იყო და ჯერ კიდევ არის მთელ მსოფლიოში და რა არის გასაკვირი, რომ საქართველოც იჩენდა ინტერესს. ასე მაგალითად, აშშ-მ წინასწარ შეისყიდა ქვეყნისთვის საჭირო მთელი წლის მარაგი, ხოლო ევროპის 37-მა ქვეყანამ სულ ახლახანს შეიძინა 500 ათასი პაციენტისთვის საჭირო მედიკამენტი. საქართველო ყოველთვის იჩენდა სიფრთხილეს და თუ საბოლოოდ (და არა შუალედური დასკვნით) დადასტურდება, რომ ეს მედიკამენტი მართლაც არაეფექტიანი და უსარგებლოა, საქართველო ყველაზე ნაკლებად დაზარალდება, მაგრამ ჯერ-ჯერობით კვლევები, მათ შორის Solidarity გრძელდება და დაველოდოთ საბოლოო შედეგებს. მითუმეტეს, რომ შუალედურ დასკვნაშიც არ არის კატეგორიულად ნათქვამი, რომ რემდესივირი მთლიანად უსარგებლოა. ამავე დროს არსებობს სხვა რანდომიზებული კონტროლირებული კვლევებიც, რომელთა მიხედვითაც რემდესივირი სარწმუნოდ ამცირებს სიკვდილობას გარკვეული კატეგორიის (ჟანგბადდამოკიდებულების ადრეულ სტადიაზე) ავადმყოფებში. 2020 წლის 24 ივლისის NIH-ის გაიდლაინშიც რეკომენდებულია რემდესივირის მიცემა კოვიდ-19-ით ჟანგბადდამოკიდებული (მხოლოდ არა მექანიკურ ვენტილაციაზე მყოფი) პაციენტებისათვის.

საგულისხმოა, რომ აშშ-ს FDA-იმ სამწუხაროდ არ გაიზიარა ბ-ნი გიორგის და ბ-ნი რევაზის პოზიცია და 23 ოქტომბერს ოფიციალურად დაამტკიცა რემდესივირი ჰოსპიტალიზებული კოვიდ-19-თ ავადმყოფების სამკურნალოდ. ადრე (ა.წ. 1 მაისს და 28 აგვისტოს) იგივე FDA-ის გაცემული ჰქონდა რეკომენდაცია ამ პრეპარატის მხოლოდ გადაუდებელი საჭიროების (for emergency use) დროს გამოყენებაზე.

ამდენად, რემდესივირი გახდა პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ანტივირუსული პრეპარატი, რომელიც ოფიციალურად არის რეკომენდებული კოვიდ-19-ით ავადმყოფების სამკურნალოდ.

რაც შეეხება კვლევა „Solidarity“-ის, საქართველო ნამდვილად მონაწილეობს ამ კვლევაშიც და ა.წ. 13 ოქტომბერს ჯანმომ ოფიციალური წერილით მიმართა საქართველოს შემოგვეტანა რემდესივირი აღნიშნული კვლევისათვის და ამ მედიკამენტის შემოტანა, რომელზეც ბატონმა გიორგიმ, ბატონმა რევაზმა და სხვებმა ამდენი ხმაური ატეხეს, სწორედ ამ კვლევისთვის იყო დაგეგმილი. თუმცა მას შემდეგ, რაც FDA-იმ რემდესივირი უკვე ოფიციალურად დაამტკიცა, მისი გამოყენება კვლევის გარეთაც სავსებით გამართლებულია. ისიც საგულისხმოა, რომ 1 კურსის ღირებულება არის არა 3500 ან 2000 აშშ დოლარი, არამედ 156 ან 286 აშშ დოლარი (6 ან 11 ფლაკონი სხვადასხვა სიმძიმის ავადმყოფებისთვის). ასე რომ, ჩვენ ყველაფერს სწორად და კოვიდ-პაციენტების ინტერესებისთვის ვაკეთებდით და ვაკეთებთ და თუ შემდგომში ჯანმო ოფიციალურად მაინც ამოიღებს რემდესივირს ხმარებიდან, ბუნებრივია ჩვენც ასე მოვიქცევით.

რაც შეეხება ირონიას იმ ფაქტისადმი, რომ ამერიკის პრეზიდენტს ტრამპს რემდესივირით უმკურნალეს, ყოვლად უადგილოა. როგორ ფიქრობთ, ამერიკის საუკეთესო ექიმთა გუნდი, რომელმაც ეს გადაწყვეტილება მიიღო ბ-ნ გიორგიზე ან ბ-ნ რევაზზე ნაკლებად იცნობდა Solidarity-ის კვლევის შედეგებს და ზოგადად რემდესივირის ავკარგიანობას? რაიმე სერიოზული წონადი არგუმენტის გარეშე ისინი არავითარ შემთხვევაში არ გაუკეთებდნენ თავისი ქვეყნის პრეზიდენტს „ექსპერიმენტულ“ არაეფექტიან მედიკამენტს და ისიც ინტრავენურად. ასე რომ, არა მგონია, ეს ფაქტი ვინმეს „საღადაო“ იყოს და თუ საქართველოშიც კოვიდ-19-ით ავადმყოფებს ახლო მომავალში ექნებათ საშუალება იმკურნალონ იგივე მედიკამენტებით (რემდესივირი, მონოკლონური ანტისხეულები და სხვ.), რომლითაც ამერიკის პრეზიდენტს უმკურნალეს, არ გვგონია, რომ ეს ცუდი იყოს, დამოუკიდებლად იმისა, მოსწონთ ეს ბ-ნ გიორგის და ბ-ნ რევაზს, თუ არა.

ბ-ნი გიორგი ძალიან ხშირად იმეორებს, რომ „ერთადერთი ეფექტიანი პრეპარატი დღესდღეისობით არის დექსამეტაზონი“. მე არ ვიცი, რა საჭიროა „ღია კარის მტვრევა“. დექსამეტაზონს ჩვენ ისედაც უკვე ძალიან დიდი ხანია ვიყენებთ, რაც ასახულია ჩვენს გაიდლაინში.

რაც შეეხება კიდევ ერთ ინოვაციურ მეთოდს – კოვიდ-19-ისგან გამოჯანმრთელებული ავადმყოფების (კონვალესცენტების) პლაზმის გამოყენებას კოვიდ-19-ით პაციენტების სამკურნალოდ, მართალია დიდი რანდომიზებული, კონტროლირებული კვლევები ჯერ დასრულებული არ არის, მაგრამ ამერიკის FDA-ის ა.წ. 23 აგვისტოს გაცემული აქვს რეკომენდაცია კონვალესცენტების პლაზმის გამოყენებაზე გადაუდებელი მდგომარეობებისთვის (an emergency use) და სადღეისოდ ასეთი პლაზმა უკვე გადაესხა 85 ათასზე მეტ კოვიდ-19-ით პაციენტს და სერიოზული გვერდითი მოვლენები არ დაფიქსირებულა. სარგებელი კი ბევრმა (თუმცა არა ყველამ) მიიღო. ჩვენ ჯერჯერობით კოვიდ-19-თ 6 ავადმყოფს გადავუსხით კონვალესცენტის პლაზმა და 4 შემთხვევაში კარგი შედეგი მივიღეთ (თუმცა ეს ძალიან ცოტაა). დიდი ალბათობით კონვალესცენტების პლაზმის ეფექტი ან უეფექტობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა კონცენტრაციით შეიცავს ის ე.წ. დამცველობით (მანეიტრალიზებელ) ანტისხეულებს. ხოლო იმის სწავლება, რომ „პაციენტების ინფორმირება უნდა მოვახდინოთ“, არასერიოზულია, რადგან სპეციალური ინფორმირებული თანხმობის გარეშე კონვალესცენტების პლაზმას არავინ ასხამს. საგულისხმოა, რომ ბ-ნი გიორგი მაქსიმალურად შეეცადა ამ მეთოდის დისკრედიტაციას და პოტენციური დონორების დარწმუნებას, რომ არ ჩაებარებინათ პლაზმა. ამავე დროს იქვე ამბობს, რომ „თუ რესურსი გვაქვს, თავადაც ჩავატაროთ კვლევები“ კონვალესცენტების პლაზმაზეო. ბ-ნი გიორგი, სწორედ დონორების რესურსი რომ გვჭირდება, ამიტომ მოვუწოდეთ კონვალესცენტებს პლაზმის ჩაბარებისკენ, რასაც თქვენ ასე შეეწინააღმდეგეთ და არ გვგონია, რომ ამით კარგი საქმე გააკეთეთ.

 აი ასეთია სინამდვილეში დღევანდელი კოვიდ-სიტუაცია საქართველოში თავისი სერიოზული გამოწვევებით და იმედებით“, – წერს თეგიზ ცერცვაძე.

ᲡᲘᲪᲠᲣᲘᲡᲒᲐᲜ ᲡᲘᲜᲓᲘᲡᲓᲐᲛᲬᲕᲐᲠᲜᲘ

ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ, არჩევნების წინ პარტიები თუ ცალკეული კანდიდატები მოგვიწოდებენ — ხმა მივცეთ სამართლიანობას, კეთილდღეობას, უკეთეს მომავალს და მისთ., ხოლო ყოველი დანაპირების აღსრულებაზე სრულ პასუხისმგებლობას იღებენ, თუმცა გამოცდილებით ვიცით, რომ მათი აღსრულება ყველას არ ხელეწიფება. ახლაც ასეა, სუბიექტიც ბევრია და ლოზუნგიც, მაგრამ საზოგადოებისთვის კარგად ცნობილია, რომ 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ძირითადი მოასპარეზე მხოლოდ ორია — „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ მასთან მიერთებულ ოპოზიციურ პარტიებთან ერთად.

პირველის მთავარი წარმომადგენელია სამშობლოს დიდი მოამაგე ბიძინა ივანიშვილი, ხოლო მეორესი — ასოციალური ემიგრანტი და სისხლის სამართლის დამნაშავე მ. სააკაშვილი. ზნეობრივი კანონებისა და ახლო წარსულის გათვალისწინებით, მთელი საზოგადოებისთვის თითქოს ყველაფერი ნათელი უნდა იყოს, მაგრამ არსებობს გარკვეული ჯგუფი ადამიანებისა, რომელნიც განსხვავებული მორალური კატეგორიებით სარგებლობენ და მოვლენათა ავკარგიანობას საკუთარი შკალის მიხედვით ზომავენ.

1. ᲪᲠᲣ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲘᲣᲮᲕᲔ. მიუხედავად იმისა, რომ სულიერად ჯანმრთელ ადამიანს ნაცურ-ლიბერალური მედიის სიყალბისა და მიზანდასახულობის გარკვევა არ უჭირს, ზოგიერთს მათი სატელევიზიო არხებიდან ნიაღვარივით გადმომსკდარ სიცრუეთა სიმრავლესთან შინაგანი პროტესტით გამკლავება არ შეუძლია და თავს იმით იმშვიდებს, უფრო სწორად — იმით იტყუებს, რომ მედია საზოგადოების აზრს გამოხატავს და თვითონაც ძალაუნებურად მას უნდა ითვალისწინებდეს. ასეთი სუსტი ფსიქიკის მქონე ადამიანი ისეა მიჯაჭვული ტელევიზორს, მისი გამორთვა-გამოთიშვის ძალა არ შესწევს.

ჩვენ, ამჯერად, არ ვგულისხმობთ მედროვე, ანგარებიან ან ცოდვით შეპყრობილ ადამიანებს, რომელთა ცნობიერებას შური და ბოროტება აბნელებს, ხოლო მათ საქციელს არა გონების მოქმედება, არამედ ქვეცნობიერი მისწრაფება და ცხოველური ინსტინქტი განსაზღვრავს, რადგან დარწმუნებული ვართ, დიდი მცდელობის შემთხვევაშიც, ამ პირთა მიმართ ლოგიკურად მსჯელობას სასარგებლო შედეგი მაინც არ მოჰყვებოდა. ამიტომ ჩვენ გვინდა, გამოვყოთ მცირედ მორწმუნე საზოგადოების ის მერყევი ფენა, რომელიც აცნობიერებს შექმნილ ვითარებას, მაგრამ მორალურად სწორი პოზიციის შენარჩუნებისთვის ძალა არ ჰყოფნის. ჩვენი აზრით, ამ უძლურებას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს:

1. **ᲪᲠᲣ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲘᲣᲮᲕᲔ.** მიუხედავად იმისა, რომ სულიერად ჯანმრთელ ადამიანს ნაცურ-ლიბერალური მედიის სიყალბისა და მიზანდასახულობის გარკვევა არ უჭირს, ზოგიერთს მათი სატელევიზიო არხებიდან ნიაღვარივით გადმომსკდარ სიცრუეთა სიმრავლესთან შინაგანი პროტესტით გამკლავება არ შეუძლია და თავს იმით იმშვიდებს, უფრო სწორად — იმით იტყუებს, რომ მედია საზოგადოების აზრს გამოხატავს და თვითონაც ძალაუნებურად მას უნდა ითვალისწინებდეს. ასეთი სუსტი ფსიქიკის მქონე ადამიანი ისეა მიჯაჭვული ტელევიზორს, მისი გამორთვა-გამოთიშვის ძალა არ შესწევს.

2. **ᲪᲠᲣ ᲡᲢᲔᲠᲔᲝᲢᲘ�პᲘ.** ახლა არავითარ საიდუმლოს აღარ წარმოადგენს ნახევარი საუკუნის წინანდელი პოლიტიკური მოვლენები, როცა ამერიკულმა სპეცსამსახურებმა, საბჭოთა კავშირის დაშლის მიზნით, განსაკუთრებით 1970-იანი წლებიდან, სახელმწიფო უშიშროების სამსახურის მაღალჩინოსნების გადაბირება და მათი ხელშეწყობით იდეოლოგიური სტერეოტიპების გავრცელება დაიწყეს. ერთ-ერთი დირექტივა არსებული ხელისუფლებისადმი კრიტიკულ განწყობას ითვალისწინებდა, რაც პატივით გაამაყებულმა და თავმომწონე ინტელიგენციამ სიამოვნებით აიტაცა და ლოზუნგად აქცია დღემდე უჭკნობი ცრუ დებულება: ნამდვილი ინტელიგენტი ოპოზიციონერი უნდა იყოს.

მართალია, ბოლო დროს ეს გამონათქვამი არავისგან მსმენია, მაგრამ ცრუ სწავლულთა მედიდური კლასი ყველაფერს, მათ შორის მთავრობასა და იერარქიას ისევ ზემოდან დაჰყურებს და თავისი წილი ნეგატიური მუხტი შეაქვს სოციალურ გარემოში.

ჩვენ მხოლოდ ქრისტიან ადამიანებს შევახსენებთ, თუ რას შევთხოვთ უფალს ჩვენი ხელისუფლებისა და ჯარისათვის ყოველ ცისმარე დღეს: **„გარეშეზღუდენ მპყრობელობანი მათნი და დაუმორჩილენ ქუეშე ფერხთა მათთა ყოველნი მტერნი და მბრძოლნი მათნი და შთაუთხრენ გულთა შინა მათთა კეთილი და მშვიდობაჲ წმიდისა ეკლესიისათვის და ყოვლისა ერისა შენისა და მიეც მათ მშვიდობაჲ და დაწყნარებაჲ, რაჲთა მყუდროებასა შინა მათსა დაწყნარებული ცხოვრებაჲ გუაქუნდეს, მართლითა სარწმუნოებითა და კეთილმსახურებითა ვცხოვრობდეთ“.**

მეტს არაფერს ითხოვს მორწმუნე კაცი; მთავრობისა და მხედრობის მიერ მშვიდობით დაცული ქვეყანა და დაწყნარებული ქრისტიანული ცხოვრება უდიდესი წყალობაა ღმრთისა, ყველა დანარჩენ საჭიროებაზე კაცმა თვით უნდა იზრუნოს. ხოლო უმადურობამ გონება თუ ისე დაგიბნელა, რომ ამ აწრიალებულ დედამიწაზე მშვიდობიანად და ქრისტიანული ცხოვრებისთვის საქართველოს მთავრობის მადლიერი არ ხარ, ე.ი. უფლის მცნებებს დაშორებიხარ და საკუთარ ამბიციებს აღმერთებ!

3. **ᲪᲠᲣ ᲡᲐᲛᲦᲕᲓᲔᲚᲝᲔᲑᲐ.** გასაკვირი არ არის, რომ თითქმის ყოველი ქართველი მოქალაქე, ეკლესიურიცა და მცირედ მორწმუნეც, სასულიერო დასის წევრთაგან მართალსა და იმედისმომცემ სიტყვას ელის. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ, ჯერ ერთი, შეუმცდარი და უცოდველი არც სასულიერო პირია (სხვა საქმეა, როცა იგი თავშეუკავებელი პოლიტიკური განცხადებით საეკლესიო კანონიკას არღვევს. დანაშაულისთვის თავის დროს ყველას მოეკითხება); მეორეც, ნაც-პროფილის მედია-საშუალებები „ვითარცა ლომნი მყვირალნი“ ეძებენ მართლმადიდებელი ეკლესიის სახელის გასატეხ მასალას და ცალკეული მღვდელმთავრისა თუ მღვდლის მოუზომავ სიტყვას ისე წარმოაჩენენ, თითქოს იგი მთელი ეკლესიის ან მისი საჭეთმპყრობლის თვალსაზრისს გამოხატავდეს.

მისმა უწმინდესობამ ბოლო დროს არაერთხელ ბრძანა, რომ განსაცდელიც მადლიერებით უნდა მივიღოთ, ვინაიდან ღმრთის განგებულების გარეშე არაფერი ხდება; ხოლო რაიმე პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში რისხვა ხელისუფლებაზე არ გადავიტანოთ და არ დავიჯეროთ, რომ მის წარმომადგენელთ ნაკლებად შესტკივათ გული სამშობლოზე, ვიდრე ჩვენ. დავუკვირდეთ, გულმწყრალი კაცი ზემდგომს ხშირად იმიტომ ადანაშაულებს, რომ თვით გაითავისუფლოს თავი ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან და უმწიკვლო პერსონად წარმოჩნდეს.

მოგეხსენებათ, ქართველი სამღვდელოება უცხოეთშიც მსახურობს. ადგილობრივი კანონების მოთხოვნათა შესაბამისად, ისინი ამერიკისა თუ ევროპის პრეზიდენტებს, მონარქებს ან პრემიერ-მინისტრებს საეკლესიო ლოცვებში პერსონალურად მოიხსენიებენ. მაშასადამე, საერო ხელისუფლების მთავარი წარმომადგენლის, თუნდაც არამართლმადიდებლის, სახელდებით მოხსენიება სავალდებულოა; ჩვენთან კი მხოლოდ „მთავრობისა და მხედრობისა მისისათვის“ ვლოცულობთ. ამ ფაქტით ზოგიერთ ღმრთისმსახურს უბრალოდ შევახსენებთ, რომ მთავრობის კეთილგანწყობას დაფასება სჭირდება, თორემ დევნის ან შევიწროების შემთხვევაში, თვით ამ მსახურებმა უკეთ უწყიან, ლოცვა ვისთვის შეიძლება აიძულონ!

4. **ᲡᲘᲜᲓᲘᲡᲘᲡ ᲩᲐᲛᲮᲨᲝᲑᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘ.** ყველას სმენია ქართული სიტყვები: სინდისგარეცხილი, სინდისდამწვარი, ნამუსგარეცხილი... ეს ზედსართავი სახელები გამოიყენება იმ კაცის მიმართ, ვინც დაბადებიდან თანდაყოლილი ანუ მხოლოდ ადამიანისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი თვისება — სინდისიერება — საკუთარ თავში ჩაკლა და ჩაახშო. იგი აღარ წუხს თავის უმსგავსო საქციელზე და, თავისთავად, არც სინანულის გრძნობა აქვს.

ქრისტიანული მოძღვრება სინდისს უფლის ხმას, „პატარა ღმერთს“ უწოდებს, რომელიც ადამიანს, როგორც ღმრთის ხატს, შემოქმედისგან უზრუნველად და უსწავლელად აქვს მინიჭებული სიკეთისა და ბოროტების ერთმანეთისგან განსასხვავებლად. მისი დაკარგვის შემდეგ ზნეობრივ საკითხებზე საუბარი ადამიანთან თითქმის შეუძლებელია, პოტენციურად იგი ჯოჯოხეთის მსხვერპლს წარმოადგენს, მაგრამ პასუხისმგებლობა ამ შედეგის მიღებისთვის მხოლოდ მას ეკისრება, ვინაიდან მან სინდისის ძახილს ყური არ მიუგდო და ეშმაკის შეგონებით საკუთარი თავიდან ღმერთი სრულიად განდევნა.

მერყევი ადამიანების დასახმარებლად სინდისის ჩამხშობი საშუალებები, ანუ სწორი არჩევანის დამაბრკოლებელი ფაქტორები ზემოთ იმიტომ მიმოვიხილეთ, რომ გვეჩვენებინა ბოროტი სულის საბრძოლო იარაღის ერთადერთი სახეობა, რომლის სახელია სიცრუე. თუ კაცი ემონება ეშმაკის მანქანებას და შემწეობისთვის უფალს არ უხმობს, მისი სინდისიც თანდათან ირეცხება და სანდო ხმას აღარ გამოსცემს. ამიტომ დროზე უშველეთ თქვენს თავს, მცირედ მორწმუნენო, და ნურც ქვეყნის დაღუპვას მისცემთ ხმას!

ბოლო სიტყვებმა გაუგებრობა რომ არ გამოიწვიოს, განვმარტავ, მე პარტიების პოლიტიკურ პროგრამებს არ ვაანალიზებ, არამედ მხოლოდ მათი რეალური საქმიანობიდან გამომდინარე ვასკვნი, რომ მათ შორის დაპირისპირება ჩვენი ქვეყნის ყოფნა-არყოფნის ზღვარზე გადის და ამიტომ, ბერობის მიუხედავად, ჩემ თავს განზე გადგომის უფლებას არ ვაძლევ; ხოლო თუ საჭიროება მოითხოვს, ასლების მოსაქსოვად „თორნიკეს ჯაჭვის პერანგი“ ივერიის ღმრთისმშობლის ტაძარში ასვენია.

ᲑᲔᲠᲫᲘᲐᲙᲝᲜᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ (ᲠᲣᲮᲐᲫᲔ),
ფილოსოფიის დოქტორი.

P.S. ვსარგებლობ შემთხვევით და, ჩემი მხრივ, უღრმეს მადლიერებას გამოვხატავ საქართველოს ახლანდელი ხელისუფლების მიმართ, რომელმაც სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში C-ჰეპატიტისგან განკურნების შესაძლებლობა მომცა და უსასყიდლოდ დაახლოებით 90 ათასი დოლარის ღირებულების მედიკამენტი გამომიყო. ღმერთმა წყალობა არ მოაკლოს მას ქართველი ერის კეთილდღეობისა და მტერთა ზედა ძლევისათვის!

„ᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ ᲛᲐᲛᲐᲩᲔᲛᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲡ“!

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐ საქართველოს პირველი პრეზიდენტის თანამებრძოლებს სრულ მხარდაჭერას უცხადებს.

„მამაჩემის ერთგულ მომხრეთა ამაზრზენ დანაშაულთან რამენაირად დაკავშირება არის მორიგი ამორალური საქციელი ამ ინფორმაციების გამავრცელებელთა მხრიდან. ზვიადის სახელს ახსენებს გვარამია და პუტჩისტთა მეზარბაზნე დევი უმშვენებს სტუდიაში გვერდს. სრული მხარდაჭერა მამაჩემის თანამებრძოლებს“, — წერს გიორგი გამსახურდია.

200-ლარიანი დახმარების პროგრამა გაგრძელდება!

უმუშევრად **დარჩენილი მოსახლეობისთვის მთავრობა 200-ლარიანი დახმარების გაცემას გააგრძელებს. წინ ძალიან რთული თვეებია და ბუნებრივია, ხალხს ფინანსურად მხარდაჭერა კვლავაც დასჭირდება, მით უფრო, რომ ბიზნესიც და ეკონომიკაც კრიზისში რჩება.**

ის, რომ დახმარების პროგრამა გაგრძელდება, ამის შესახებ ბიზნესმენებისა და პრემიერ-მინისტრის შეხვედრის შემდეგ გახდა ცნობილი. ბიზნეს ასოციაციის პრეზიდენტმა სოსო ფხაკაძემ ეს ინფორმაცია მედიასთან დაადასტურა. ჯერჯერობით უცნობია, როდიდან და რამდენი ხნით მოხდება მისი გახანგრძლივება.

„თუ სწორად მახსოვს, პრემიერმა შეხვედრაზე ახსენა, რომ ეს დახმარება გაგრძელდება. მეტი კონკრეტიკა არ ყოფილა, თუმცა როგორც ჩვენ გავიგეთ, ხელისუფლება არა მარტო ამ დახმარების გაგრძელებას აპირებს, არამედ იქნება ღონისძიებათა ახალი პაკეტიც. ყველას გვესმის, რომ პანდემია არსად წასულა, მას განგრძობითი ხასიათი აქვს და ამიტომ ხელისუფლებას გარკვეული ნაბიჯების გადადგმა მოუწევს. ვფიქრობ, ეს ძალიან რაციონალური და სწორია“, — განაცხადა სოსო ფხაკაძემ.

ოქტომბერში უკვე სრულდება ექვსთვიანი პროგრამა, რომლითაც კორონავირუსის პანდემიის შედეგად უმუშევრად დარჩენილი ადამიანები ყოველთვიურად 200-ლარიან დახმარებას იღებდნენ. კომპენსაციების 6-თვიანი პროგრამა აპრილში დამტკიცდა. მაშინ გაკეთებული განცხადების თანახმად, დახმარებებისთვის ბიუჯეტში 460 მილიონი ლარი იყო გამოყოფილი.

თვეების მიხედვით კომპენსაციის მიმღებთა სტატისტიკა ასეთია:

მაისი — 72 131 პირს გადაერიცხა 14 426 200 ლარი;
ივნისი — 143 801 პირს გადაერიცხა 28 760 200 ლარი;
ივლისი — 127 430 პირს გადაერიცხა 25 486 000 ლარი;
აგვისტო — 96 765 პირს გადაერიცხა 19 353 000 ლარი;
სექტემბერი — 91 315 პირს გადაერიცხა 18 263 000 ლარი.

აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე ამბობს, რომ სურვილის მიუხედავად, ხელისუფლებას აღარ ეყოფა საბიუჯეტო თანხა სოციალური პაკეტებისთვის, ამიტომ ისევ საგარეო რესურსის ძიება უნდა დაიწყოს.

„ავად თუ კარგად, პანდემიის პირველი ტალღისას ხელისუფლების მიერ შეთავაზებულმა სოციალურმა დახმარებებმა იმუშავა და შეეხო ათიათასობით ადამიანს და ოჯახს. პანდემიის ზრდის ტემპი ახლა ისეთია, რომ შეუძლებელია, იგივე საბიუჯეტო რესურსი გასწვდეს მეორე ტალღას. აქ არაფერ შუაშია მთავრობის ნება, თანხა, უბრალოდ, შეზღუდულია.

ერთადერთი რესურსი არის გარე დახმარებები ან ვალები, რისი მოძიებაც რთული იქნება, თუმცა ამაზე უნდა იმუშაოს ხელისუფლებამ. გაზაფხულზეც სწორედ ამით გახდა შესაძლებელი სოციალური პაკეტების დიდი ნაწილის დაფინანსება“, — აღნიშნა სილაგაძემ.

200-ლარიანი დახმარებების გაგრძელება იმის მანიშნებელია, რომ ქვეყანაში საკმაოდ არიან ისეთი ადამიანები, ვისაც სახელმწიფოსგან დახმარება კიდევ სჭირდებათ. ეკონომისტი გიორგი პაპავას აზრით, გარკვეულ სექტორებში ადამიანებმა, რომლებმაც სამსახურები დაკარგეს, სამუშაო ადგილები ვერაფრით დაიბრუნეს.

„პროგრამის გახანგრძლივება იმაზე მიანიშნებს, რომ რაღაც კატეგორიას 200-ლარიანი დახმარება ისევ სჭირდება და ხელისუფლებაც სწორედ ამიტომ აგრძელებს. გაზაფხულზე რა ვითარებაც იყო, იგივე მდგომარეობა ახლა არ გვაქვს. იმის თქმა, რომ მოსახლეობას ახლა უფრო უჭირს, ვიდრე ადრე, სწორი არ იქნება, თუმცა ვინაიდან კრიზისი დაძლეული არ არის, ბუნებრივია, რომ გარკვეული პროგრამების გაგრძელება საჭიროა. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა საბიუჯეტო რესურსი არსებობს“, — განაცხადა პაპავამ.

ეკა ბაძრაძე

სასტუმროების უმეტესობა დაკეტილია და არც ზამთრის სეზონის იმედი აქვთ!

კორონავირუსმა ტურიზმის სფერო იმდენად ჩაძირა, რომ ზამთრის სეზონის იმედიც უკვე გადაწურულია. მუშაობის აზრს ვერ ხედავენ სასტუმროები, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ამჟამად დაკეტილია, ხოლო ნაწილი საკარანტინე სივრცედ არის გადაკეთებული.

ვითარების დრამატულობას ადასტურებენ დარგის სპეციალისტები. ტურიზმის სფეროს ექსპერტი **ნიკო კვარაცხელია** ფიქრობს, რომ სექტორში დანაკარგის ანაზღაურებას წლები და საკმაოდ დიდი რესურსი დასჭირდება. გარდა ამისა, უამრავი ობიექტი გაკოტრების პირასაა და შეიძლება მომავალ გაზაფხულამდე ვერც მიატანოს.

„ცხადია, არსებულ მძიმე მდგომარეობას თეთრი ტურიზმი ვერ გამოასწორებს. მძიმე სიტუაციაა ყველგან, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ტურიზმი მასშტაბურად არის შემცირებული, მაგრამ ჩვენ კიდევ უარეს მდგომარეობაში ვართ, რადგან მთელი ეკონომიკა თითქმის ტურიმზე გვქონდა მიბმული და ამის გამო ძალიან გაგვიჭირდა.

ქვეყანამ აქცენტი შიდა ტურიზმზე გააკეთა, რაც მიმაჩნია, რომ სწორია, მაგრამ ამანაც ვერ უშველა საქმეს. სამუშაო ადგილები რაც იყო, დიდ ნაწილს ტურიზმი „ისრუტავდა“. ახლა ან უნდა შემოვიდეს ინვესტიცია, რომელიც სამუშაო ადგილებს შექმნის ან ტურისტები უნდა შემოვიდნენ, რისი ალბათობაც მცირეა.

ზამთარში რომც ამუშავდეს ტურიზმი, შეიძლება, კურორტებზე ეპიდემიის ცხელი წერტილები გაჩნდეს, როგორც ბათუმში. რეალურად არაფერი გამოდის. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ვითარების გამოსწორების პირი არც ზამთარში ჩანს, ამიტომ კვლავ ასეთი არასახარბიელო მდგომარეობა გვექნება“, — განაცხადა ნიკო კვარაცხელიამ.

სასტუმროების მოლოდინიც საკურორტო სეზონთან დაკავშირებით პესიმისტურია, მათი უმეტესობა მიიჩნევს, რომ ტურისტები არც ზამთრის სეზონზე ესტუმრებიან საქართველოს, შესაბამისად, ბიზნესისთვის საკარანტინე სივრცედ დარჩენა უფრო მომგებიანია.

„ახლა საკარანტინე სივრცე ვართ, მუდმივად იცვლება სიტუაცია, ჯერ ვერ გეტყვით რა იქნება მომავალში. თუ ავიარეისები არ აღდგა და ჯავშნები არ გვექნება, მაშინ დავრჩებით საკარანტინო სივრცედ. ძალიან რთულია, რამე მოლოდინი გქონდეს ან არ გქონდეს. ყველაფერი დამოკიდებულია ფრენის აღდგენაზე და რჩება შიდა ბაზარი, რომელიც დიდად ვერ განსაზღვრავს სეზონის ეფექტურობას. თუ ვერც ერთი სტუმარი ვერ დაჯავშნის სასტუმროს, რა თქმა უნდა, სანამ საჭიროა საკარანტინე ზონად დავრჩებით“, — განუცხადა „კომერსანტს“ ბაკურიანის სასტუმრო „კრისტალის“ მენეჯერმა **გიორგი მაისურაძემ**.

სასტუმრო „გუდაურა“ მარტის შემდეგ დაკეტილია. მიუხედავად იმისა, რომ საკარანტინო სივრცედ მუშაობის შემოთავაზება მიიღეს, სასტუმროს ადმინისტრაცია მაინც საკურორტო სეზონის გახსნას ელოდება.

„ამჟამად, ჩვენი სასტუმრო დაკეტილია, რადგან სეზონის დაწყებას ველოდებით. საკარანტინო სივრცედ მუშაობაზე გვქონდა შემოთავაზება, თუმცა უარი ვთქვით. მარტის შემდეგ გაჩერებულები ვართ. მაისში ავიღეთ ნებართვა, რომ შევძლებდით ყველანაირი რეგულაციის დაცვით სამუშაოს განახლებას, თუმცა ჯავშნები წინა წლების ჯავშნებთან შედარებით, მხოლოდ 15 პროცენტს შეადგენს. თუ პოზიტიური სიტუაცია იქნება, იმედი გვაქვს გავაგრძელებთ მუშაობას. ზოგადად, გუდაურში სასტუმროების უმეტესობა დაკეტილია, მუშაობის აზრს ვერ ხედავენ“, — აღნიშნა სასტუმრო „გუდაურას“ მფლობელმა.

გვანცა გიორგობიანი

სასწრაფო დახმარების ექიმი კორონავირუსით გარდაიცვალა

ახალქალაქის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმი კორონავირუსით გარდაიცვალა. 67 წლის ექიმს თბილისში კლინიკა „ჯერარსში“ მკურნალობდნენ.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში აცხადებენ, რომ ექიმს კორონავირუსი 19 ოქტომბერს დაუდასტურდა და ის თბილისში, „ჯერარსში“ გადაიყვანეს.

„მისი მდგომარეობა ბოლო დღეებში დამძიმდა, გარდა ამისა მას ჰქონდა თანმხლები დაავადებები, მათ შორის ფარისებრი ჯირკვლის სიმსივნური დაავადება, მეტაბოლური დარღვევები და მსგავსი ჩივილები აწუხებდა“, — აცხადებენ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში.

ნათია მეზვრიშვილი: სისტემურ შეზღუდვებს არ ვაწესებთ

„ვაგრძელებთ ვირუსთან ადაპტაციას და მის მართვას წერტილოვანი და ლოკალური შეზღუდვებით, იქ, სადაც, ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, ამის საჭიროება არსებობს. მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ ბალანსი დავიცვათ, ერთი მხრივ, ვაგრძელებთ მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვას და მეორე მხრივ, ვცდილობთ, რაც შეიძლება, ნაკლები ზიანი მივაყენოთ ეკონომიკას, რათა პოსტკრიზისულ პერიოდში სწრაფი აღდგენის რესურსი შევინარჩუნოთ. ამ მხრივ, ჩვენ პოზიტიური ტენდენციები გვქონდა და მაქსიმალურად ვცდილობთ ამ ტენდენციების შენარჩუნებას“, — განაცხადა ნათია მეზვრიშვილმა.

მისივე განცხადებით, დადებითი ტენდენციის შენარჩუნება მოსახლეობის მიერ რეკომენდაციების შესრულებაზეა დამოკიდებული.

გამოჯანმრთელებული ადამიანების რაოდენობა იზრდება

ბოლო 24 საათის განმავლობაში, გამოვლენილია 1 872 ახალი შემთხვევა, ხოლო ჯამური მაჩვენებელი 30 303-ს შეადგენს, — ამის შესახებ უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოსთან არსებული საოპერაციო შტაბის უფროსის მოადგილემ ბერდია სიჭინავამ, მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. მან კოვიდ-19-ის 26 ოქტომბრის სტატისტიკურ მონაცემებზე ისაუბრა.



ბოლო 24 საათის განმავლობაში, გამოჯანმრთელდა 603 პირი. ფრთხილი ოპტიმიზმით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეინიშნება გამოჯანმრთელებული ადამიანების ზრდის დინამიკა და მომდევნო დღეების განმავლობაში გვაქვს პოზიტიური მოლოდინები ამ კუთხით. სულ გამოჯანმრთელებულთა რაოდენობა 11 370-ს შეადგენს. სამწუხაროდ, 24 საათში 14 ადამიანი გარდაიცვალა, თბილისში — 8 ადამიანი, იმერეთში — 4, ხოლო აჭარაში — 2. 2020 წლის 26 თებერვლიდან დღემდე, სულ გვაქვს 215 გარდაცვალების შემთხვევა.

დღეს გამოვლენილი 1 872 შემთხვევიდან თბილისში არის — 913, აჭარაში— 296, იმერეთში — 337, ქვემო ქართლში — 89, შიდა ქართლში — 54, გურიაში — 32, სამეგრელოსა და ზემო სვანეთში — 90, კახეთში — 13, მცხეთა-მთიანეთში — 30, სამცხე-ჯავახეთში — 11, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში — 7.

პანდემიას სტუდენტებიც ებრძვიან

კორონავირუსთან **დაკავშირებით შექმნილი საკოორტდინაციო საბჭო გეგმავს კოვიდ-19-ის მართვის პროცესში სამედიცინო მიმართულების სტუდენტები ჩართოს. ამის შესახებ ჟურნალისტებს გუშინ განათლების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა განუცხადა.**

მისი თქმით, გადაწყვეტილება საკოორდინაციო საბჭოზე იქნა მიღებული.

„სამედიცინო მიმართულების უფროსკურსელები გადამზადდებიან, გაივლიან სწრაფ კურსს იმისთვის, რომ შეიქმნას სამედიცინო პერსონალის ერთგვარი რეზერვი. საჭიროების შემთხვევაში ისინი კოვიდის სამედიცინო მენეჯმენტში ჩაერთვებიან და დაეხმარებიან ჩვენს ექიმებს“, — განაცხადა ჩხენკელმა. ჩხენკელი ამბობს, რომ მომზადების კურსი მრავალწახნაგიანი იქნება და სტუდენტები ექიმებს საჭიროების მიხედვით აღმოუჩენენ დახმარებას.

ფული

ადამიანებს ფული ისე აუვარდათ თავში, სიკეთე დაავიწყდათ; ამ სიტყვას ვინმე უნებლიედ თუ ახსენებდა, უკვირდათ, რა ენაზე ლაპარაკობსო.

საშინელი საქმეების კეთება დაიწყო ფულმა. ადამიანი ისე გაუფასურდა, მევალეს ხურდაში ატანდნენ. მათხოვარს ფულს ვინ მისცემდა?!. მშივრები ლასლასით დადიოდნენ, ძონძებს ხან წინიდან იფარებდნენ და ხან – უკნიდან.

ერთ მათხოვარს გუბიდან წყლის დალევა სურდა. ძალაგამოლეულს ხელფეხი აღარ ემორჩილებოდა, გულაღმა ეგდო და გუბემდე ხელის მიწვდენას ცდილობდა. კაცმა გამოიარა, ძირს მოფართხალე ადამიანი დაინახა, შეეცოდა, თანმხლებ ბიჭებს ფული მისცა, უთხრა, წადით, საჭმელ-სასმელი უყიდეთ და მოუტანეთო. ბიჭები ასეც მოიქცნენ, იყიდეს, მოუტანეს და შემწვარ-მოხრაკულები წინ გაუშალეს. როცა გემრიელ საჭმელს გემრიელი წვენიც დააყოლა, მათხოვარმა ძალა იგრძნო, წამოიწია, ცრემლიანი თვალები კაცს შეანათა და ჩაილაპარაკა, კარგი კაცის ხელში, ფულიც კარგი ყოფილაო.

უვიცეგი და უღირსეგი

ხელმწიფე პატივმოყვარე კაცი იყო, ელჩებისა და უცხო ქვეყნის დელეგაციების წინაშე თავს იწონებდა, ღირსეულ და წარმატებულ ადამიანებს უკან დაიდევნებდა და უხვადაც ასაჩუქრებდა.

ფინანსთა მინისტრმა დაიანგარიშა და აღმოაჩინა, რომ ღირსეული ადამიანების შენახვა სახელმწიფოს ძვირი უჯდებოდა, შედეგი კი არც ისე სახარბიელო იყო; პრობლემებზე ენას არ აჩერებდნენ და სახელმწიფო საქმეებში ცხვირს ჰყოფდნენ. მინისტრი ხელმწიფის წინაშე ახალი იდეებით წარსდგა და მოახსენა, ხაზინიდან ფული უშედეგოდ იხარჯება, ღირსეული ადამიანების ნაცვლად, უკან, უვიც და უღირს ადამიანებს თუ დაიყენებთ, ხარჯი განახევრდება, ხოლო შედეგი გაიზრდებაო.

ეგ როგორო, გაუკვირდა ხელმწიფეს – ბატონო, უფლება მომეცით, უცხოეთის ელჩებისა და დელეგაციების მიღებისას უკან ყველაზე უღირსი და ყველაზე უვიცი ადამიანები დაგიყენოთ. დანარჩენს თქვენ თვითონ მოისმენთ და თქვენ თვითონ დაინახავთო.

კარგი... შემოიყვანე! – ბრძანა ხელმწიფემ.

საგულდაგულოდ შერჩეული უვიცნი და უღირსნი ჩამწკრივდნენ და ისეთი ბედნიერი სახეებით იყურებოდნენ, ხელმწიფე აღფრთოვანებული შეჰყურებდა. როდესაც ელჩები და დელეგაციები შემოვიდნენ, ხელმწიფე მიემშვიდობა. დარბაზი შეძახილებით შეზანზარდა. ხელმწიფე ხელს ასწევდა, უვიცნი და უღირსნი ადგებოდნენ, დასწევდა – დასხდებოდნენ, ხელმწიფე მინისტრს მიუბრუნდა და უთხრა, უვიცებმა და უღირსებმა უკეთ იციან, როგორ მოიქცნენო.

სიხარული

ძვეყანაზე სარჩო-საბადებელი აღარ მოიპოვებოდა. ადამიანებს ლამის ერთმანეთი დაეჭამათ; წაღმა სთესავდნენ და უკუღმა ამოდიოდა, წვიმას ნატრობდნენ და სეტყვა მოდიოდა.

სოფელში ერთი გახარებული კაცი დაინახეს, დაედევნენ და გაკვირვებულებმა ჰკითხეს, ქვეყანა იქცევა და შენ რა გიხარიაო. გამახსენდა, რომ სიხარულიც არსებობს და გამიხარდაო, მიუგო კაცმა.

ფურთხი

ძუჩა მშიერი მათხოვრებით იყო სავსე და გამვლელების ცარიელ ჯიბეებს უიმედოდ შესცქეროდნენ. ქალაქის წარჩინებული და სახელოვანი მოსახლეობა მოედანზე იდგა და ფულიან კაცს ხელებში შესცქეროდნენ.

– ფულის შეკვრა იმისია, ვინც ტაშს დამიკრავს! – დაიძახა ფულიანმა კაცმა.

წარჩინებულსა და სახელოვან ადამიანებს ტაშის დაკვრით ხელები გადაუტყავდათ, სტკიოდათ, მაგრამ შიოდათ.

– ყველანი იმსახურებთ! – დაიძახა ფულიანმა კაცმა და ფული ყველას თავზე გადააყარა. მოედნის შუაგულში როიალი დაადგმევინა, დაუკრა და საზოგადოებას გასძახა, ჩემს დაკრულზე ვინც უკეთესად იცეკვებს, ფული იმისიაო.

წარჩინებული და სახელოვანი ადამიანები აცეკვდნენ, ფულიანი კაცი კი ფულს თავზე აყრიდა.

მათხოვარმა მეორე მათხოვარს გადაულაპარაკა, ნახე, ყველას სახეში აფურთხებსო.

– რას ამბობ, ძმაო, – შეეპასუხა მეორე მათხოვარი, – კი არ აფურთხებს, ფულს სჩუქნის.

ფული, რომელიც გამცირებს, ფურთხიაო, მიუგო მათხოვარმა.

მთავროგის კალათა

სახელმწიფოში უმუშევრობა იყო. ოჯახის უფროსი თვეობით ეძებდა სამუშაოს; შესაფერისსა და ღირსეულს ვინ დაეძებდა, ოჯახში ლუკმა–პური ჰქონოდათ, მაგრამ... ერთ დღეს, ამ კაცს მთავრობის წარმომადგენლებმა სასმელ–საჭმლით სავსე კალათა მიართვეს, ჩვენ ჩვენს ხალხს სასიკვდილოდ არ გავწირავთო, უთხრეს და კალათა გაუწოდეს.

პური ჩემი შრომით მაჭამეთო, სთხოვა უმუშევარმა.

უკანალის ჭიეგი

მოედანზე ოლიგარქის ქველმოქმედებაზე თავგამოდებით საუბრობდნენ, ხელგაშლილობის უამრავი მაგალითი მოჰყავდათ, აქებდნენ და ადიდებდნენ. ერთი კაცი შორიახლოს იდგა, ვერ მოითმინა, მიუახლოვდა და უთხრა, დარწმუნებით საუბრობთ იმაზე, რაც ოლიგარქისგან გამოედინება, იქნებ იმაზეც გვესაუბროთ, რაც მის ხახაში ჩაედინებაო.

– ჩვენ იმას ვხედავთ, რაც მისგან გამოედინება. – მიუგეს მოსაუბრეებმა.

ჭეშმარიტებას ღაღადებთ! უკანალის ჭიები იმ ადგილას იმყოფებიან, საიდანაც არ ჩანს, ოლიგარქის ხახაში რა ჩაედინებაო, ჩაილაპარაკა კაცმა.

ფულიანი

ფულიანი კაცი ხელისუფლებაში აირჩიეს, ფული ბევრი აქვს და არ მოიპარავსო. გავიდა დრო და ფულიანი ფულს აკეთებდა, ყაჩაღი ყაჩაღობდა, მკვლელი კლავდა, თაღლითი თაღლითობდა, ღატაკი ღატაკდებოდა და მდიდარი მდიდრდებოდა. გამწარებულმა ხალხმა ხელისუფალს პასუხი მოსთხოვა, რას აკეთებო.

მე რისი კეთებაც ვიცი, იმას ვაკეთებ... თქვენ თუ ხელისუფლების არჩევა არ იცით, რა ჩემი ბრალია?! – მიუგო ფულიანმა.



ჯუმბერ სარდლიშვილი

სიბრძნე სიმდიდრისა და სიღარიბისა

საკანონმდებლო თაოსნობა

დეპუტატს, რომელსაც სესიაზე ხმა არასოდეს ამოუღია, წასთვლიმა; სიზმარში მიქელ გაბრიელი გამოეცხადა, ხელში ცელი ეჭირა, ღესავდა და თან თვალით ანიშნებდა, გარეთ გამოდიო. გულგახეთქილმა დეპუტატმა იყვირა, საკანონმდებლო თაოსნობა მაქვსო. დეპუტატებს გაუკვირდათ, ოღონდ შენ ხმა ამოიღე და მხარს დაგიჭერთო, უთხრეს.

კანონით სახელმწიფოში ცელის ტარება უნდა აიკრძალოს. – ძლივს ამოღერღა შეშინებულმა დეპუტატმა.

ფილოსოფიური მიმდინარეობა

შავიზღვისპირა ქალაქის მერი პარლამენტარების წინაშე მოხსენებით გამოვიდა, სხვადასხვა გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით ისაუბრა და ბოლოს თქვა: როგორც იცით, ძველი რომაული სამყაროს ფილოსოფოსებს ევგენიოსსა და მის შვილს – თემისტიოსს, ფაზისის ფილოსოფიური სკოლა აქვთ გავლილი. ჩვენ გადავწყვიტეთ...

მერი საუბრობდა, მაგრამ ერთ დეპუტატს მისი აღარ ესმოდა, სურდა, გაეგო, ფაზისი რა არის და ცოდნით გაბღენძილ მეორე დეპუტატს წასჩურჩულა, ფაზისი რას ნიშნავსო.

– მერი ძველ ფილოსოფიაზე საუბრობს... რა თქმა უნდა, ძველი ფილოსოფიური მიმდინარეობა იქნება, დაუკვირდი, ფაზისი მართლაც ფილოსოფიური სიტყვაა. – უპასუხა თავდაჯერებულმა.

– ხედავთ ჩვენს მერს... რა შორს წასულა! – ჩაილაპარაკა დეპუტატმა.

ოპოზიციონერის რჩევა

დეპუტატი სესიაზე იჯდა და ქვებს ხატავდა. ხატვა-ხატვაში წასთვლიმა, ხვრინვა ამოუშვა და იყვირა, თავს უშველეთო. დეპუტატებმა გაალვიძეს და ჰკითხეს, რა დაგემართაო.

ქუჩიდან ლანძღვის ხმა მომესმა, ჩემს დახატულ ქვებს თავში გვესროდნენ. – ჩაილაპარაკა დეპუტატმა.

ამის შემდეგ, საკვები პროდუქტები დახატე, მშიერი კაცი თავში გასარტყმელად ვერ გაიმეტებსო, ურჩია ოპოზიციონერმა.

ოპერაცია – კაკალი

სახელმწიფოს მდიდარი კაცი მართავდა. კაკლის მოყვარულები შეუჩნდნენ, მაგარი ხარ, მარტო მდიდრების ქონება კი არა, ბევრი ჯიბეგამოფხეკილის უკანასკნელი თეთრიც აჩხრიალებულა შენს ყულაბაში, მაგრამ... ყვავს კაკალს ვერ გააგდებინებო.

მდიდარი კაცი დაღონდა. ყვავების დაშინება დაიწყო; ყოველ ხის ძირში, ბუჩქში, ყანაში, ვენახში, ბოსტანში უსაფრთხოების თანამშრომლები მიმალა და როგორც კი ყვავებს დაინახავდნენ, ქვებს ესროდნენ, მაგრამ არც ერთ ყვავს კაკალი არ გაუგდია.

საფიქრალი გაუჩნდა მდიდარ კაცს.

ერთ დღეს პარლამენტის თავმჯდომარეს მესიჯი მიუვიდა, შავი ყვავების ფრენა აკრძალეთო. მეორე დღესვე კანონი ძალაში შევიდა. ყვავები სახლებიდან ვერ გამოდიოდნენ; ფერის შეცვლა რა ჩვენი ჯიშის საკადრისიაო, თქვეს და კაკლის ხეებიდან ნაყოფი ღამე მიჰქონდათ.

მდიდარმა კაცმა მოსვენება დაკარგა. საძინებელში მოუსვენარი კოტრიალის დროს გონება გაუნათდა, მინისტრებს მესიჯები გაუგზავნა, კაკლის ხეები აღრიცხეთ, საუკეთესო ხარისხის ძაფი იყიდეთ, ყოველ ნაყოფს გამოაბით და ბოლოები ჩემს ხალხს მიეცით, ყვავები როცა აფრინდებიან, ძაფები გამოსწიონ და კაკლები გააგდებინონო.

როგორც კი ყვავები კაკლის ხეებს შეესივნენ, ნაყოფს კლანჭები ჩაავლეს და აფრინდნენ, კაკლები გასცვივდათ. ყვავები სიბნელეში უაზროდ იცქირებოდნენ, ვერ გაეგოთ, კაკალი სად ქრებოდა.

მდიდარ კაცთან კაკლით სავსე ტომრები მიდიოდა, ისიც იდგა და აჩხრიალებდა.

ფულით სავსე ტომარა

ახალგაზრდას ხელისა და ტვინის განძრევა ეზარებოდა. მამა ამაოდ ცდილობდა, შვილს განათლება მიეღო, ნიჭი და უნარი გამოევლინა, მაგრამ მამის ფულის მეტი არაფერი უნდოდა.

ერთ დღეს მამამ ფულით სავსე ტომარა დაუდგა წინ და უთხრა, ხომ ხედავ, ფულით სავსე ტომარა ფეხზე დგას, ფული ამოიღეო. შვილმა ტომრიდან ფული ამოიღო თუ არა, ცარიელი ტომარა მიწაზე ჩვარივით დავარდა.

შვილო, ადამიანი ისეთ ღირებულებაზე უნდა იდგეს, ფულის დაკარგვისთანავე ტომარასავით მიწაზე არ დავარდესო, უთხრა მამამ.

რატომ გაათავისუფლეს უშიკიშვილი?



მდიდარი **და უძველესი ქართული მრავალხმიანობა ფოლკლორის ცენტრში ინახება და არამარტო ინახება – ცოცხლობს.**

ის, რასაც საუკუნეების განმავლობაში მამები შვილებს და კიდევ მათ შვილებს გადასცემდნენ, განსაკუთრებულ მოვლას, მოფრთხილებას და შენარჩუნებას საჭიროებს. ეს არამატერიალური განძი, რომელსაც გაქრობა არ ემუქრება, დღეს, ისე როგორც არასდროს, საიმედო ხელშია.

ახლახან ცენტრის ყოფილმა ხელმძღვანელმა გიორგი უშიკიშვილმა სოციალურ ქსელში პოსტი გამოაქვეყნა და იმის შესახებ ისაუბრა, თუ რა გაკეთდა და რა შეძლო მან, როგორც ფოლკლორის ცენტრის დირექტორმა ექსპრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დახმარებით.

„დიდი ბინძური ბრძოლისა და ზეწოლის ფონზე გამათავისუფლეს ცენტრის დირექტორობიდან. არაოფიციალური მიზეზი ის იყო, რომ ფოლკლორი დავღუპე და არ ვემსახურე ფეოდალებს“, – აცხადებს უშიკიშვილი.

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორის მოადგილე გიორგი გაბუნია კი უშიკიშვილის გათავისუფლების სხვა მიზეზს ასახელებს.

„უშიკიშვილის გათავისუფლება მოხდა მინისტრის მიერ აუდიტის დასკვნის საფუძველზე, სადაც მძიმე დარღვევები იყო მითითებული სახელმწიფო ქონების, საბიუჯეტო თანხების გაფლანგვა-მითვისება. ამის გამო აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში და დღემდე მიმდინარეობს საქმეზე გამოძიება“, – აცხადებს გაბუნია.

უშიკიშვილის სტატუსი ჯერ ექსპრეზიდენტმა გაიზიარა იმის დასამტკიცებლად, რომ მის გარეშე ქართული ფოლკლორი სულს ღაფავს, შემდეგ კი „მთავარმა არხმა“ სიუჟეტი მიუძღვნა, რომ ქართული ფოლკლორი „როგორც ეროვნულობის ბურჯი“, ურთულეს მდგომარეობაშია.

„იმედის კვირა“ ფოლკლორის ცენტრის ყოფილ დირექტორს დაუკავშირდა. იგი ჯერ სატელეფონო ინტერვიუს დათანხმდა, თუმცა შემდეგ ტელეფონი დიდი ხნით გამორთო.

ქაოსისა და მტრობის გზით...

უცხოა თუ არა აფხაზეთისთვის დასავლური ლიბერალური ღირებულებები?

ამას წინათ აფხაზ კოლეგებთან საუბარში მორიგი დასტური მივიღე იმისა, რომ ანტიდასავლურ პროპაგანდას, რომელიც საკმაოდ ძლიერია ჩვენთანაც (საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად მიწა-წყალზე), აფხაზეთში საერთოდაც „მიჰყავს აღლუმი“. დასავლური ფასეულობების „კატეგორიულ მიუღებლობაზე“ ამ შემთხვევაში საუბრობდნენ ჟურნალისტები — ანუ წესით, საზოგადოების ყველაზე ინფორმირებული და, შესაბამისად, პროპაგანდას ნაკლებ დაქვემდებარებული ნაწილის წარმომადგენლები“, თუმცა გასაკვირი ალბათ, მაინც არაფერია: ჩვენ ხომ ვსაუბრობთ რეგიონზე, სადაც ძირითად საინფორმაციო წყაროს რუსულენოვანი მედია, სოცქსელების რუსულენოვანი სეგმენტი, ასევე ის პოლიტიკური, საზოგადოებრივი და სხვა ორგანიზაციები თუ მოღვაწეები წარმოადგენენ, რომლებიც, ნებსით თუ უნებლიეთ, აფხაზეთში „სტრატეგიული პარტნიორის“ ინტერესებს ატარებენ.

და აფხაზი კოლეგების მიერ ნახსენები „ნარატივების“ ნაწილი ძალზე ნაცნობი აღმოჩნდა: ამ ყველაფერს ჩვენც ვისმენთ — ოფიციალური თბილისის მიერ კონტროლირებად მიწა-წყალზე (მაგალითად, ტელეარხ „ობიექტივზე“, ცალკეული პოლიტიკოსებისგან, საზოგადო მოღვაწეებისგან, კულტურის სფეროს წარმომადგენლებისგან, ამასწინანდელი სკანდალის შემდეგ აფხაზეთში კარგად ცნობილი „საქართველოს პატრიოტთა ალიანსისა“ და ფსევდოპატრიოტული „დროშის“ ქვეშ მოქმედი სხვა ანტიდასავლური პარტიებისა თუ ორგანიზაციებისგან), ვკითხულობთ ანტიდასავლურ ბეჭდურ გამოცემებში, სოცქსელებში, უამრავ პროპაგანდისტულ საიტზე, რომლებიც, პერიოდულად „გუგლისა“ და „ფეისბუქის“ მიერ ბლოკირების შემდეგ, კვლავ ბრუნდებიან ინტერნეტ-სივრცეში და აახლებენ თავის საქმიანობას...

დასახული მიზნების მისაღწევად ისინი ათასგვარ სხვადასხვა მეთოდს იყენებენ — აშკარა სიცრუით დაწყებული, უფრო ხარისხიანად „შეფუთული“ პროპაგანდით დამთავრებული, რომელიც შესაძლოა, სრულიად რეალური ფაქტებისგან შედგებოდეს, თუმცა ისინი საზოგადოებას კონტექსტიდან ამოგლეჯილი სახით, ან ყალბ ინფორმაციასთან შერეულად, ან „საექსპერტო ანალიზის“ სახით მიეწოდებოდეს (რაც, სხვათა შორის, აფხაზეთისთვის კარგად ცნობილი „სპუტნიკის“ ერთ-ერთი საყვარელი მეთოდია). ასეთ შემთხვევაში რეალობის დადგენა შესაძლოა, ყველაზე ფრთხილ მკითხველსაც კი გაუჭირდეს.

ეს საკითხები თბილისში უკვე საკმაოდ კარგადაა შესწავლილი. ღია წვდომაშია უამრავი კომპეტენტური კვლევა და დღეს მსურს, ჩვენს აფხაზ მკითხველებს ზოგიერთი მათგანის შედეგები გავაცნო — იმ იმედით, რომ თბილისის მაგალითზე ისინი უფრო ფრთხილად მოეკიდებიან დასავლეთის შესახებ მოსმენილსა და წაკითხულს.

ფართო გეგმები და ზრახვები

ზოგადად, დეზინფორმაცია და პროპაგანდა, როგორც წესი, გაცილებით ფართო გეგმებისა და ზრახვების ნაწილს წარმოადგენს. რუსეთის სადეზინფორმაციო და პროპაგანდისტული კამპანიები, მაგალითად, მთელ მსოფლიოში მოსკოვის საგარეო პოლიტიკური მიზნების რეალიზების, პრორუსული ხედვების პოპულარიზების, პრორუსული განწყობების თესვის მიზნით ტარდება. საქართველოს შემთხვევაში მათ ძირითად მიზანს ქვეყნის ევროპული, ევროატლანტიკური ინტეგრაციის შეფერხება და ხელისუფლებაში პრორუსული პოლიტიკური ძალების მოყვანა წარმოადგენს.

კონკრეტული ამოცანები მიზნების შესაბამისია: დემოკრატიული ინსტიტუტების, ქვეყნის დასავლელი პარტნიორების (აშშ-ის, ნატოს) და მათი სხვადასხვა სტრუქტურებისადმი ნდობის შერყევა, პარალელურად კი ქართული საზოგადოების წინაშე რუსეთისა და ევრაზიული ალტერნატივის „ხსნად“ წარმოჩენა.

მექანიზმები ასეთია: დასავლური ღირებულებების არსის დამახინჯება (მათი დემონიზაცია, წარმოჩენა ქართული იდენტობისთვის „შეუსაბამოდ“ ან სულაც „საფრთხედ“); ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის „ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და უსაფრთხოებისთვის საფრთხედ“ გასაღება; დასავლელ პარტნიორებთან თანამშრომლობისა და მისი პოზიტიური შედეგების მნიშვნელობის დაკნინება; საზოგადოების დეზორგანიზაცია და დემორალიზება ქაოსის, შუღლის, მტრობის თესვის გზით (მათ შორის — სხვადასხვა უმცირესობების მიმართ); სხვადასხვა ადგილობრივი ჯგუფების (მედია, არასამთავრობო სექტორი, „სასარგებლო იდიოტები“, პოლიტიკური ძალები, სასულიერო პირები და სხვა) მობილიზება ქვეყნის პოლიტიკურ დღის წესრიგზე ზემოქმედებისთვის.

მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიის „დამუშავება“

მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიისთვის თემატურად განსხვავებული ნარატივებია ფორმირებული. მაგალითად, 55 წელს გადაცილებულთათვის მთავარი აქცენტი კეთდება საბჭოური წარსულის შელამაზებაზე (ხშირად — ისტორიული ფაქტების სრული გაყალბებით) და ამჟამინდელი დემოკრატიული ინსტიტუტების დემონიზაციაზე. **პროპაგანდის ძირითადი არხები აქტრადიციულია — ტელევიზია და პრესა. ახალგაზრდობისთვის კი აქცენტი გადატანილია ლიბერალიზმის კრიტიკაზე, დეზინფორმაციაზე დასავლური წყობის „სტაგნაციის“ შესახებ, დასავლური ინსტიტუტების წარმოჩენაზე „სუსტად“, „უსარგებლოდ“ და ამავდროულად „ქართული იდენტობისთვის საფრთხის მატარებლად“. პროპაგანდის ძირითადი წყარო ამ შემთხვევაში სოციალური მედიაა.**

ცალკე აქტიური მუშაობა მიდის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან. ასე, მაგალითად, სომხებისა და აზერბაიჯანელების კომპაქტური სახლობის რეგიონებში (სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი, შესაბამისად) ანტიდასავლური პროპაგანდა, სარგებლობს რა იმით, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფო — ქართულ ენას არ ფლობს და ინფორმაციას უმთავრესად რუსულენოვანი წყაროებიდან მოიპოვებს, საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას წარმოაჩენს „საფრთხედ“ უსაფრთხოების თვალსაზრისით. ეთნიკური სომხების შემთხვევაში ეს არის სადეზინფორმაციო ნარატივი „თურქული ექსპანსიის“, ყარსის ხელშეკრულების „საფრთხისა“ და „ქვეყნის ნატოში გაწევრების შემთხვევაში საქართველოში თურქული ჯარის შემოჭრის“ შესახებ.

კიდევ ერთი მიმართულება ცალკეულ სოციალურ ჯგუფებთან მუშაობაა. ამის მაგალითად შეიძლება, მოვიყვანოთ აქტიური სადეზინფორმაციო კამპანია თურქეთის მოსაზღვრე რეგიონ აჭარაში. ადგილობრივ მოსახლეობას ასევე აქტიურად აშინებენ „საქართველოს ნატოში გაწევრების შემთხვევაში თურქული ექსპანსიის საფრთხით“ — რაღა თქმა უნდა, იმის მიჩუმათებით, რომ თავად თურქეთიც ნატოს წევრი სახელმწიფოა ... და, რაღა თქმა უნდა, „ერთადერთ მხსნელად“ რუსეთის წარმოჩენით. .

ამგვარად, ანტიდასავლური პროპაგანდა და დეზინფორმაცია იყენებს სხვადასხვა ჯგუფის „სუსტ წერტილებს“ თავისი ნარატივების კაპიტალიზაციისთვის. და აფხაზეთის მოსახლეობას, რომლის საინფორმაციო წყაროები ასევე უმთავრესად რუსულენოვანია, დიდი სიფრთხლე მართებს.

რას წარმოადგენს დასავლეთის ლიბერალური ღირებულებები?

რეალურად, დასავლური ცივილიზაციის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი არის სწრაფვა მუდმივი განახლებისა და თვითგანვითარებისკენ საკუთარი გამოცდილების — წარსულისა და აწმყოსადმი კრიტიკული მიდგომის საფუძველზე. მის ქვაკუთხედს კი ქმნის სამი ძირითადი პრინციპი: 1. ადამიანის, ინდივიდის, საზოგადოების თითოეული წევრის უზენაესი და უპირობო ფასეულობა — მთელი მისი უფლებებითა და თავისუფლებებით; 2. თითოეული მოქალაქის უდიდესი პასუხისმგებლობა საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე; 3. კანონის უზენაესობა და მის წინაშე ყველას თანასწორობა, რაც წინა ორი პრინციპის ჰარმონიული დაცულობის გარანტიებს იძლევა.

სწორედ ამიტომ მსგავსი საზოგადოების ნებისმიერი კანონმორჩილი წევრი, განურჩევლად ეთნიკური, რელიგიური, სქესობრივი და სხვა კუთვნილებისა, პოლიტიკური, სქესობრივი თუ სხვა ორიენტაციისა, განურჩევლად პერსონალური შეხედულებებისა, საჭიროების შემთხვევაში სასამართლოსთვის მიმართვისას დარწმუნებულია სამართლიან ვერდიქტში და დაცულად გრძნობს თავს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოწინააღმდეგე მხარე სახელმწიფოა. ფასეულობათა სწორედ ასეთი სისტემა უზრუნველყოფს წლობით როგორც ეკონომიკების (აქედან გამომდინარე ყველა სიკეთით), ისე საზოგადოებების, მთლიანობაში ქვეყნების სტაბილურ და მდგრად განვითარებას, მიუხედავად ყველა იმ პერიოდული პრობლემისა, რომელიც დასავლეთში ზუსტად ისევე იქმნება, როგორც მსოფლიოს ნებისმიერ სხვა წერტილში. ფასეულობათა სწორედ ამ სისტემის წყალობით შეიქმნა ყველაფერი ის, რაც ასე მოსწონთ აფხაზებს, რომლებიც ერთხელ მაინც ყოფილან დასავლეთის ქვეყნებში.

ახლა კი დავფიქრდეთ, მართლაც ესოდენ უცხოა აფხაზეთისთვის დასავლური ლიბერალური ღირებულებები, თუ მათი „კატეგორიული მიუღებლობა“ და „გამხრწნელი ზემოქმედება“ — ეს მხოლოდ ისაა, რასაც აფხაზეთს რუსეთი ახვევს თავს?

ახალი ამბების სააგენტო „აქცენტი“

აზერბაიჯანი და სომხეთი ზავის დარღვევაში ერთმანეთს ადანაშაულებენ

სომხეთის შეიარაღებულმა ძალებმა სამშვიდობო შეთანხმება დაარღვიეს. როგორც ადგილობრივი მედია წერს, ამის შესახებ აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ.

მათივე ინფორმაციით, სომხურმა მხარემ აზერბაიჯანის არმიის დანაყოფზე საარტილერიო შეტევა ლაჩინის მხრიდან განახორციელა. თავის მხრივ, სომხეთი ზავის დარღვევაზე აზერბაიჯანის ბრალდებებს უარყოფს და ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დარღვევაში პირიქით აზერბაიჯანს ადანაშაულებს.

ერევანის მტკიცებთ, არაღიარებული მთიანი ყარაბაღის სამხედრო დანაყოფები საზავო შეთანხმების პირობებს მკაცრად იცავენ და ოფიციალური ბაქო დეზინფორმაციას ავრცელებს.

ზავის რეჟიმი მთიან ყარაბაღში გუშინ 8 საათიდან ამოქმედდა.

ჩილეში კონსტიტუციის შეცვლას ზეიმობენ

ჩილეს მოსახლეობა კონსტიტუციის შეცვლას ზეიმობს, რომელიც დიქტატორ ავგუსტო პინოჩეტის მმართველობის პერიოდში იქნა მიღებული.

საყოველთაო რეფერენდუმი ქვეყანაში 25 ოქტომბერს გაიმართა. ელექტორატის 78%-მა მხარი ე.წ. „პინოჩეტის კონსტიტუციის“ შეცვლას დაუჭირა. ახალი კონსტიტუციის მიღების მოთხოვნით ჩილეში საპროტესტო გამოსვლები ერთი წელია, იმართება.

დემონსტრანტები მოსახლეობის კეთილდღეობაზე გათვლილი კონსტიტუციის მიღებას ითხოვდნენ, რომელიც სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრისკენ იქნება მიმართული.

◎ სათქმელს ლექსში ვეღარ ვატევ...

მიაქვს ცოტა, მოაქვს ბევრი



პოეტს, პროზაიკოსს, მთარგმნელს, მეცნიერ-ორიენტალისტ **ნომადი ბართაია**ს გამოქვეყნებული აქვს არაერთი საყურადღებო ნაშრომი. მცირე მოცულობის პოეტური კრებული **„სახელი მაინც ვიცოდე მისი“** ახალ მინიმებს გვაზიარებს და აგრძელებს იმ გზას, რომელსაც ავტორი თავიდანვე დაადგა: მცირე ფორმით გამოხატოს დიდი სათქმელი, განცდათა ჯერ კიდევ შეუმჩნეველი ნიუანსები. მახსოვს ვიღაცის ნათქვამი: ტალანტი სწორედ ნიუანსებში იმალებაო. მარტივად თქმის ხელოვნებაც ხელოვნებაა და, მგონი, აქ ჩვენს მელექსეს ბევრი ვერ შეედაროს. ამავე დროს, როგორც სახელმწიფო პრემიის ლაურეატი სოსო სიგუა აღნიშნავს, „მან თავის ლექსებში გააერთიანა ლირიზმი და კომიზმი, მოულოდნელობის ეფექტი და დრამატული განცდა, მახვილი დაკვირვება და ნაივური აღქმა“. ამასობაში „ნელ-ნელა, თანდათან, შეუმჩნევლად, თითქოსდა თამაშით შექმნა ორიგინალური პოეტური სამყარო, რომელიც მართლაც არავის არა ჰგავს და ნამდვილად გვავსებს ადამიანური განცდებით, სითბოთი და სიყვარულით“.

მართლაცდა, განა რომელ ტანკას ან რობაის არ გაუწევს ღირსეულ მეტოქეობას ეგ ქმნილება:

სათქმელს ლექსში ვეღარ
ვატევ,
არშიაზე ვხატავ იებს;
მაგრამ იის სურნელებას
ვინ დახატავს, ბედნიერი,
ანდა შენი გამოხედვა
ენით გამოითქმის განა?!

თუ გულწრფელი სათქმელი გაწუხებს, რა საჭიროა სულის წრიახი, ენის გრეხა და კუნთების თამაში? ბუნებრივი მეტყველებით ყველაფერი გამოითქმის, ზოგჯერ კი უფრო მეტიც, ვიდრე ავტორი გულისხმობს. აგერ პირველივე ნიმუში ამ კრებულისა, გულის ნათელს რომ გიპოვის და ბუნების მშვენებას გაზიარებს:

არ ვიცი,
როგორ გადავუხადო
მადლობა,
რისიც ის არის ღირსი;
რა ჩიტი იყო,
გალობდა როგორ,
სახელი მაინც ვიცოდე მისი!

ეს ერთგვარი იმპრესიონისტული ჩანახატია, რომელიც მკითხველს აიძულებს, თავადაც ჩაერიოს მოშაირის ნაფიქრში და მისი ნააზრევი განავრცოს, გააგრძელოს. სურათის ბოლომდე დასრულება კი არაა საკალდებულო. სწორედ ამგვარ ფიქრზე გაყენებს „ზაფხულიც“:

არაფერი მომხდარა,
მეგობრებო, გარდა იმის,
რომ უეცრად
მზის ჩასვლისას
მომენატრა
სუნი მინდვრის.

სწორედ ისეა, როგორც იაპონურ საბაღო მშენებლობაში: წალკოტი ისეა მოწყობილი, გეჩვენება: მშენებელ-დეკორატორები ეს-ესაა წასულან დასასვენებლად, მალე ისევ გამოჩნდებიან და საბოლოო სახეს მისცემენ დაუმთავრებელ ბაღჩასო. სინამდვილეში კი არავინ მოვა: თავად მხილველმა თავისი ფანტაზიითა და გამომგონებლობის უნარით უნდა დაასრულოს დაწყებული სამუშაო. და ამ საქმეში ავტორს კაჭკაჭებიც კი უწყობენ ხელს:

როგორ უყვართ გზისპირები,
ველარ აღწერს კაცის ენა:
გომთან ახლოს,
ქართლის გზაზე,
გადაფრენა, გადმოფრენა.

აღნიშნული სტილის პოეტს იმისი დრო და სივრცე არა აქვს, კონკრეტულად და რეალისტურ-ნატურალისტურად აღწეროს ლამაზი პეიზაჟი და ამით გაგაოცოს. არის შემოვლითი გზაც და ასეც შეიძლება შთაბეჭდილების შექმნა, მკითხველზე წარუშლელი ზემოქმედების მოხდენა:

გინდა,
სუფსაში რა გავიფიქრე?
პოეტი რომ ვარ, კარგია,
მაგრამ
რატომ მხატვარი არა
ვარ-მეთქი!

მაშ, იმპრესიონისტი უფრო მოკლე გზებს დაეძებს, უფრო შორეულ პარალელებს, ოღონდ ყველაფერი ეს დაკუმშულ სტროფად ყალიბდება:

თანდათან წყდება წელში
მარტი,
თუ დამიჯერებთ,
ხმაც მესმის წყდომის.
საცაა მოვა აპრილიც ახლა,
ვიღაცას კიდეც უნახავს,
მგონი.

მაშ, ასე: ჯერ არც კი დამდგარა აპრილი, ოღონდ ვიღაცას, ჩვენს ავტორზე უფრო ძლიერი პოეტური ხილვების მქონეს, უკვე უნახავს კიდეც. სიზმარში ხომ არა, ხილვებში ხომ არა?

ერთი სიტყვით: ამ კრებულის წაკითხვა ცოტა დროს ითხოვს, სამუქფოდ, ფიქრს ითხოვს გაცილებით მეტს; მაშ, მიაქვს ცოტა, მოაქვს ბევრი. რაც მთავარია, ნებისმიერი სტროფი, ნებისმიერი ტაეპი მორჩილია, ელასტიკურია. სწორედ ისეა, როგორც ერთ მინილექსშია ნათქვამი:

რა კარგი შედარებაა,
ყველაფერს უნდა გამგონი:
აბრეშუმივით ნაზია,
აბრეშუმივით დამყოლი.

ამრიგად, აღებული პოეტური კურსი გრძელდება, მიგნებული ორიგინალური სტილი (არავის მსგავსი) ძლიერდება და მყარდება. სწორედ ეგაა შემოქმედებითი ინდივიდუალურობის დასტური.

მურმან თავდიშვილი

ქუთაისი „სხვა რაკურსით“

ახლახან, 8 ოქტომბერს, ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში ჟურნალისტ გია ჯაჯანიძის საავტორო გადაცემა „სხვა რაკურსი“ ქართული კულტურის აკვანს ქალაქ ქუთაისს მიეძღვნა.

გია ჯაჯანიძეს მასპინძლობას უწევდა ჟურნასლისტი დავით ლიკლიკაძე. მათ მიერ ზუსტად მიგნებულმა ჟურნალისტურმა ხერხმა — ინფორმაცია დღევანდელი ქუთაისის შესახებ მაყურებლისთვის მიეწოდებინათ მსუბუქი, ლაღი იუმორით, რომელიც უზადოდ შესრულებული ცნობილი სიმღერების ფონზე მიმდინარეობს, გაამართლა. მაგრამ კინოაპარატის ობიექტივმა და ოპერატორის მონდომებამ დოკუმენტური სიზუსტით წარმოაჩინა ის ხარვეზებიც, რომლებზედაც გულწრფელი საუბარი გადაუდებლად აუცილებელია.



გლობალიზაციის სულიერი მამები და მათი სულგაყიდული დამქაშები, ადვილად მართვად მსოფლიო მოქალაქის სახეობის გამოყვანაზე ოცნებობენ და ყველა საშუალებით ცდილობენ, წაშალონ და გააუფასურონ ადამიანთა ეროვული ნიშან-თვისებები და ღირსება.

ამ მიზნის მიღწევის მრავალ მეთოდს შორის, უმთავრესი — არქიტექტურის ინდივიდუალურობის იგნორირება, მისი ხელოვნურად შეცვლა და მიჩქმალვაა... ეს მეთოდი თვალსაჩინოდ ვლინდება ეროვნული ძეგლების და მემორიალების ხელყოფაში თავდაპირველი ადგილებიდან შეუფერებელ ადგილებზე გადატანაში, უყურადღებობასა და მოუვლელობაში. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოვლინებაა დიდი მეფის, დავით აღმაშენებლის ძეგლის ადგილმონაცვლეობა ქუთაისის ცენტრალური მოედნიდან ვაგზლის მოედანზე, ხოლო მის ადგილზე, მხატვრულად მდარე ხარისხის შადრევანის განთავსება, რომლის ხეთური და მესოპოტამიური ელემენტები საოცრად უცხო და ამოვარდნილია არსებული ურბანული გარემოდან. ვფიქრობ, ის „კიჩის“ ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ქართული გამოყენებითი ხელოვნების თანამედროვე რეალობაში...

დიდი საზოგადო მოღვაწის გრიგოლ გველესიანის სახლის ეკრანზე ჩვენებას, რომელსაც ფონად გასდევს ხელოვნებათმცოდნე დეა მანაგაძის სიღრმისეული თხრობა, გველესიანის დიდ ღვაწლზე, მის მამულიშვილობაზე სიამაყით გავსებს. მეორე მხრივ, ობიექტივი დაუნდობლად ასახავს მზიდი კედლების ნაშთებს, ოდესღაც მართლაც არქიტექტურული შედევრის ათინათს, რომელიც მაყურებელში მძიმე, დამთრგუნველ ემოციას იწვევს. უნებურად ჩნდება კითხვა: რატომ აგვიანდება ამ შენობის რეკონსტრუქცია-ადაპტაციას, ის ხომ ქალაქის ღირსშესანიშნაობა იქნება?!

არ დაგიმალავთ, ეს გამოხმაურება დამაწერინა ქართული და არა მხოლოდ ქართული მემორიალური არქიტექტურის უნიკალური ძეგლის — „შრომის მემორიალის“ დამთრგუნველი კადრების ხილვამ (არქიტექტორები: ვახტანგ დავითაია და შოთა ბოსტანაშვილი, 1981 წ.). დაზიანებული და დაფერფლილია მოპირკეთების ფილები, აყრილია და დაბზარულია მოშანდაკება, კედლებზე პულვეროზატორით „შესხმულია“ ნახატები და წარწერები, არ მუშაობს განათება, რომელიც მემორიალის სცენოგრაფიის ორიგინალური ელემენტია, ექსპოზიციიდან მოპარულია ერთი ქანდაკება.

ქუთაისის „შრომის მემორიალი“ მსოფლიოს ცნობილი არქიტექტორების და ხელოვნებათმცოდნეების მიერ აღიარებულია მემორიალური ხუროთმოძღვრების „ახალ სიტყვად“. გამოვიყენებ მხოლოდ ერთ-ერთი მათგანის, აკადემიკოსს ოლეგ შვიდკოვსკის შეფასებას: **„მემორიალი „დიდება შრომას“! საინტერესოა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის ოსტატურადაა შესრულებული და წარმოადგენს ხელოვნების შესანიშნავ ნაწარმოებს, არამედ იმიტომაც, რომ მას საფუძვლად უდევს ახალი, აქამდე უცნობი და მონუმენტისათვის განსაცვიფრებელი პრინციპი. ხუთი ათასი წლის განმავლობაში, კაცობრიობას არასდროს შეუქმნია მონუმენტი, რომელიც იცვლებოდა დროში. ქუთაისმა უცებ მიიღო ეს ახალი შემოქმედებითი იდეა, გახდა ფუძემდებელი დინამიური მონუმენტისა მონუმენტურ ხელოვნებაში. ქუთაისის მემორიალი არა მხოლოდ შემოქმედებითი წარმატებაა, არამედ ნამდვილი მხატვრული აღმოჩენა“.**

ცვალებადობაში იგულისხმება ავტორთა ჩანაფიქრი, რომელიც ითვალისწინებს ქანდაკებების ცვლას სამი წლის ციკლით, რასაც არ ასრულებს პოსტსაბჭოთა საქართველოს არც ერთი ხელმძღვანელი.

მე კი დავძენ: მაღალმხატვრულობასთან და უნიკალურობასთან ერთად, მემორიალი უაღრესად ქუთაისურია — გახსნილი, ღია თეატრალური, ასახავს ქალაქის განწყობილებას და ხასიათს. ის კარგად ჩაიწერა ქალაქის ცხოვრებაში. აქ მრავალი საქალაქო საზეიმო და სადღესასწაულო ღონისძიება ტარდებოდა.

მემორიალის ავტორთა ნაღვაწი აღინიშნა არა ერთი საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკური პრემიით, მათ შორის საქართველოს მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო პრემიით.

მემორიალის ავტორთა ნაღვაწი მინიჭებული აქვს „კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი“ (5 ნოემბერი, 2019 წ.) რაც თავის მხრივ, გარანტია საქართველოს უმნიშვნელოვანესი ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა დაცვისა.

უნებლიედ გიჩნდება აზრი, როგორი გულგრილი უნდა იყვნენ ადამიანები, ქუთაისის ყოფილი და ამჟამინდელი მესვეურები, რომლებიც იძულებით დღეში 3-ნ-ჯერ მაინც, ჩაუვლიან ამ მემორიალს და მშვიდად იტანენ ქალაქის გულში ამ უპატრონობას. ყველას შევახსენებ, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი არავის აპატიებს ამ უყურადღებობას!



ქუთაისის მერიისა და საკრებულოს ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობა „შრომის მემორიალის“ დაცვაა!.

თამაზ დოგრაშვილი,
არქიტექტორი

P.S. **ბადაცემაში გაპარული იყო დასანანი უზუსტობა, თითქოს ადრე, ამ სკვერში იდგა ქუთაისის უპირველესი სალოცავი, „სობორი“, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. დიდი ხნის წინათ, ამ ადგილას იყო სასაფლაო, ქალაქის ცენტრის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით იდენტიფიცირებული საფლავები გადასვენებულ იქნა სხვა სასაფლაოებზე, ხოლო მცირე ზომის „სასაფლაოს სამლოცველო“, რომელიც მერიის მარცხენა ფლიგელის მიშენების ადგილას იდგა, შენობის არეალში მოექცა, ზუსტად იქ, სადაც ამჟამად შენობის სტრუქტურაში სამლოცველოა.**

◎ მომავალი თაობა

გლდანზეც ზრუნავენ!

რამდენიმე დღეც და ვინც რა დათესა, **იმას მოიმკის.**

ბუნებრივია, მოახლოებულ არჩევნებს ვგულისხმობ, რადგან ჩვენში ყველა მოცლილი, ერკვევა თუ არა საკითხში, მაინც პოლიტიკურად უბერავს. აღარაფერს ვამბობ ტელევარსკვლავებად ქცეულ ოპოზიციონერებზე, თავიანთ რუპორებში ურცხვად რომ ყელყელაობენ და ისეთი სადეზინფორმაციო ნიაღვრით წალეკეს ეთერი, თითქოს პირნათელნი ეგებებოდნენ 31 ოქტომბერს.

ვატყობ, სიტყვა გამიგრძელდა, ამიტომ პირდაპირ სათქმელზე გადავალ.

შარშან გლდანელებს შეპირდნენ, რომ ერთ წელიწადში საფეხბურთო ცენტრი ექნებოდათ. თითქოს დიდი არაფერი – ჩვენში ფუჭი დაპირებები ვიღას უკვირს, მაგრამ, საბედნიეროდ, სიტყვის კაცებიც შემორჩენილან, ვისაც საქვეყნო საქმის ხორცშესხმაც ძალუძთ.

მოკლედ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ, დედაქალაქის მერიამ და გლდანის გამგეობამ ფიფას მიერ პროგრამა „ფორვარდით“ განხორციელებული ინვესტიციით თბილისის ყველაზე მრავალრიცხოვან დასახლებას საშვილიშვილო საჩუქარი უძღვნეს და მეხუთე და მეშვიდე მიკრორაიონების კვეთაზე შესანიშნავი საფეხბურთო ცენტრი ჩააბარეს, სადაც, დარწმუნებული ვართ, ჯანსაღი ცხოვრების წესი დამკვიდრდება.

დიახ, ალბათ, ყველა ვერ გახდება ცნობილი ფეხბურთელი, მაგრამ ღირსეულ პიროვნებებად რომ აღიზარდონ, არანაკლებ საამაყო იქნება – ჯანსაღ სხეულში ხომ ჯანსაღი სულია!

– შარშან მსგავსი ცენტრი ვარკეთილში აშენდა, – განაცხადა სფფ-ს პრეზიდენტმა **ლევან კობიაშვილმა**, – ხოლო უახლოეს მომავალში ვაკეშიც გავხსნით. რაც შეეხება პერსპექტივას, დაგეგმილია დიდი დიღმისა და ნუცუბიძის პლატოს მომავალი თაობების გახარება.

რაც შეეხება რეგიონებს, მალე დასრულდება საფეხბურთო აკადემიის მშენებლობა რუხში, ხოლო ქუთაისში ანალოგიური სამუშაოები უკვე მიმდინარეობს. შეგახსენებთ, აგრეთვე, რომ უკვე აშენდა „პეტრო არენა“, ოლიმპიურ სოფელში მოეწყო მოედნები, ახალმა არენებმა დაამშვენა ბათუმი, ფოთი, კასპი, ხაშური, აკადემიებმა – რუსთავი, ლაგოდეხი, ფოთი, საფეხბურთო ბაზამკი – ამბროლაური.

გიორგი ზოთაძე

◎ ბოთლის სამართალი

დაიცხრეთ ვნებები!

თითქოს წინასაარჩევნო ორომტრიალში ჩართულ საქართველოს პოლიტიკური დუღილის ტემპერატურის დეფიციტი ჰქონდეს, ფრონტის ახალი ხაზი მკლავჭიდელებმა კიდევ ერთხელ გახსნეს და რამდენიმე თვით მინავლებული კონფლიქტი მოჭარბებული ენერგიით განაახლეს.

დიახ, ეტყობა, კოვიდ-19-ის პანდემიის გამო უზომოდ გახანგრძლივებულმა იძულებითმა არდადეგებმა ჩვენს საამაყო ათლეტებს საშეჯიბრო პრაქტიკა მოანატრა და საკუთარი ძალ-ღონის დემონსტრირება ფედერაციის პრეზიდენტის **სოსო ჯაჭვლიანის** მიმართ გამოხატული აგრესიულობით სცადეს.

ბუნებრივია, ცეცხლი უკვამლოდ არ ჩნდება, მაგრამ, დავიჯეროთ, პროტესტი აუცილებლად, თუნდაც, პლასტმასის ბოთლების სროლას გულისხმობს?

რაც შეეხება საბაბს, იგი, როგორც ყველაფერი ამ ქვეყანაში, ფულს, უფრო სწორად, სპორტსმენთა საპრემიო თანხების შესაძლო მითვისებას უკავშირდება.

მართლაც, ისეთი არგუმენტია, ქვას გახეთქავს, მაგრამ აღნიშნულმა ფაქტმა ახლო წარსულში განვითარებული მსგავსი მოვლენები გაგვახსენა, როცა ბუნტი იმ შემთხვევებშიც მმართველი პარტიის წარმომადგენლებისა და მხარდამჭერებისადმი იყო მიმართული: **შოთა ხაბარელი** (ძიუდო), **ელდარ კურტანიძე** და **გეგა გეგეშიძე** (ორივე – ჭიდაობა). თანაც, გასათვალისწინებელია, რომ თითოეული მათგანი სპორტის ორთაბრძოლის სახეობებში მოღვაწეობს.

შეიძლება, ვინმემ თქვას, რაღა არჩევნების წინ იძაბება ვითარება, მაგრამ ჩვენთან ხომ თითქმის ყოველ წელს არჩევნებია?

გია პლატონიშვილი

◎ სარაგბო კლასიკა

„საშემოდგომო“ ედინბურგიდან

ედინბურგის „მარიფილდი“ ის სარაგბო მექაა, სადაც თამაში მილანის „ლა სკალაში“ მიწვევის ტოლფასია.

ჰოდა, შოტლანდიის დედაქალაქში გამართული ტესტი „ბორჯღალოსნებს“ საეტაპო მოვლენად შეგვიძლია ჩავუთვალოთ.

სხვა საკითხია, რამდენად ღირსეულად წარმოვაჩინეთ საკუთარი ისედაც მწირი შესაძლებლობები მრისხანე მეტოქესთან უთანასწორო ბრძოლაში.

დიახ, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ სატრაბახო ბევრი არაფერი გვაქვს, მაგრამ გასათვალისწინებელია შემდეგი: თაობათა ცვლის მტკივნეულ პროცესს დამატებული განხეთქილება საქართველოს რაგბის კავშირში და კორონავირუსის პანდემიის გამო ჩვენი ქვეყნის ეროვნული ნაკრების წევრთა უმეტესობისთვის სათამაშო პრაქტიკის რვათვიანი(!) დეფიციტი (გამონაკლისს მხოლოდ ფრანგულ კლუბებებში მოასპარეზე ლეგიონერები წარმოადგენენ) მაშინ, როცა სამი სამხრეთაფრიკელი ვარსკვლავით გაძლიერებულ მასპინძელთა ძირითადი ბირთვი – ათი „ედინბურგისა“ და ცხრა „გლაზგოს“ წევრი – მთელი სეზონის განმავლობაში გამოდის როგორც კელტურ ლიგაში, ისე ბრიტანულ ბატალიებში და ლა მანშს გადაღმა მეზობელთა წამყვან დივიზიონებში.

და მაინც, შეგვიძლია გავუგოთ ჩვენებურთა გულშემატკივრებს, რომლებიც მიჩვეულნი არიან ბიჭების უპირატესობას მოლში, თუმცა, ამჯერად ამ კომპონენტშიც უსუსურად გამოვიყურებოდით. აღარაფერს ვამბობთ რაქსა და შერკინებაზე, სადაც სტუმრებს სამაგალითო და დაუვიწყარი გაკვეთილი ჩაუტარეს.

მოკლედ, უნდა ვაღიაროთ, რომ იმ საღამოს განთქმულ სარბიელზე სხვადასხვა წონითი კატეგორიის მორკინალები არკვევდნენ ერთმანეთთან ურთიერთობას და მადლიერნი უნდა ვიყოთ, რომ ლობჟანიძის გადაცემით ტაბუცაძემ პრესტიჟის ლელო გაიტანა – 7:48.

სხვათა შორის, ისიც აღსანიშნავია, რომ სქოთებმა ერთბაშად ოთხი გარდასახვა გააფუჭეს და აქედან ორჯერ ბურთი ძელს მოხვდა, რაც რაგბიში იშვიათად ხდება.

„ბორჯღალოსნები“ საფრანგეთში განაგრძობენ მზადებას ისტორიული „რვა ერისთვის“, სადაც სადებიუტო შეხვედრას 14 ნოემბერს თვით ინგლისთან გამართავენ, თანაც კვლავ საკულტო არენაზე „თვიქნემში“!

კობა კობახიძე

◎ ტაბლო

ძიუდო

ბუდაპეშტი. უნგრეთის გრანდ სლემი. მძიმე წონა. **გელა ზაალიშვილი** – „ბრინჯაო“. **ლევან მატიაშვილი** – „ბრინჯაო“.

ფეხბურთი

საქართველო. „კრისტალბეთ“ ეროვნული ლიგა. „დინამო“ – „საბურთალო“ 3:1.

ინგლისი. „მანჩესტერი“ – „ჩელსი“ 0.:0, „ლივერპული“ – „შეფილდი“ 2:1, „ვესტ ჰემი“ – „სიტი“ 1:1, „არსენალი“ – „ლესტერი“ – 0:1.

გერმანია. „ბაიერნი“ – „აინტრახტი“ 5:0, „დორტმუნდი“ – „შალკე“ 3:0, „ლაიფციგი“ – ;„ჰერტა“ 2:1.

იტალია. „ჯენოა“ – „ინტერი“ 0:2, „ბენევენტო“ – „ნაპოლი“ 1:2, „ლაციო“ – „ბოლონია“ 2:1, „ატალანტა“ – „სამპდორია“ 1:3, „იუვენტუსი“ – „ვერონა“ 1:1.

ესპანეთი. „ბარსელონა“ – „რეალი“ 1:3, „ატლეტიკო“ – „ბეტისი“ 2:0, „სევილია“ – „ეიბარი“ 0:1.

საფრანგეთი: „ლორიენი“ – „მარსელი“ 0:1, „პსჟ“ – „დიჟონი“ 4:0, „ლიონი“ – „მონაკო“ 4:1.

კალათბურთი

ესპანეთის ლიგა ენდესა. VI ტური. „უნიკახა“ – „ტენერიფე“ 79:86.

გიორგი შერმადინი – 22 ქულა, 7 მოხსნა, 3 პასი, 1 დაფარება და MVP-ს ტიტული.

ავტორბოლა

ფორმულა-1. პორტუგალიის დიდი პრიზი. I ადგილი – ლუის ჰემილტონი. ეს ბრიტანელის 92-ე მოგებული ეტაპია, რითაც დაამხო მიხაელ შუმახერის რეკორდი.

ვიტალი ჯაფარიძე.

№ 143-144. ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ-ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 27-28 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ, 2020 ᲬᲚᲘ.

ᲮᲣᲗᲘ ᲗᲕᲔ ᲝᲠᲛᲝᲨᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲢᲧᲕᲔᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ!..

ᲛᲫᲔᲕᲚᲐᲓ ᲐᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲫᲔᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲧᲕᲐᲜᲐ ᲤᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲫᲐᲚᲕᲘᲡ ᲗᲣ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡᲬᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ, ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ᲐᲠ ᲘᲧᲝ. ᲠᲐᲓᲘᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲒᲐᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲣᲚ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲔᲑᲡ. ᲐᲛ ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲣᲫᲘᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ.

1992 ᲬᲔᲚᲘ – ᲨᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲛᲫᲔᲕᲚᲐᲓ



1992 ᲬᲔᲚᲡ ᲡᲐᲛᲔ�გᲠᲔᲚᲝᲨᲘ ᲖᲕᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡ ᲛᲝᲛᲮᲠᲔᲔᲑᲛᲐ ᲛᲫᲔᲕᲚᲐᲓ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲠᲝᲛᲐᲜ ᲒᲕᲔᲜᲪᲐᲫᲔ ᲐᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ. ᲘᲡ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲨᲘ ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲓᲐᲢᲧᲕᲔᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲙᲐᲕᲡᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲡᲜᲔᲚᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲩᲐᲡᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ. ᲠᲝᲛᲐᲜ ᲒᲕᲔᲜᲪᲐᲫᲔ ᲛᲝᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲡ.

ᲭᲠᲣᲡᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲠᲐ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲜ ᲒᲕᲔᲜᲪᲐᲫᲔ

ᲠᲝᲛᲐᲜ ᲒᲕᲔᲜᲪᲐᲫᲔ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑᲓᲐ ᲙᲣᲠᲘᲝᲖᲣᲚ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲐᲡ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲨᲔᲔᲛᲗᲮᲕᲐ. ᲗᲐᲕᲓᲐᲛᲡᲮᲛᲔᲚᲛᲐ ᲨᲣᲐ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲢᲐᲥᲡᲘᲡ ᲛᲫᲦᲝᲚᲘ ᲐᲘᲧᲕᲐᲜᲐ ᲛᲫᲔᲕᲚᲐᲓ, ᲒᲕᲔᲜᲪᲐᲫᲔᲡ ᲙᲘ ᲣᲚᲢᲘᲛᲐᲢᲣᲛᲘ ᲬᲐᲣᲧᲔᲜᲐ, ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐᲖᲔ ᲢᲠᲣᲡᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲕᲠᲬᲛᲣᲜᲓᲔ, ᲘᲐᲠᲐᲚᲡ ᲐᲠ ᲛᲐᲚᲐᲕᲝ.

ᲗᲐᲕᲓᲐᲛᲡᲮᲛᲔᲚᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲨᲘ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚᲘ ᲧᲣᲛᲑᲐᲠᲘᲗ ᲘᲯᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲘᲗ ᲘᲛᲣᲥᲠᲔᲑᲝᲓᲐ. ᲒᲕᲔᲜᲪᲐᲫᲔᲛ ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ, ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ, ᲭᲠᲣᲡᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲠᲐᲛ ᲩᲐᲐᲢᲐᲠᲐ.

1998 ᲬᲔᲚᲘ – ᲓᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲐᲖᲔ ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲣᲗᲘ ᲙᲐᲪᲘ

1998 ᲬᲚᲘᲡ თებერვალში გოჩა ესებუამ თანამზრახველებთან ერთად სამეგრელოში მძევლად გაეროს ოთხი დამკვირვებელი აიყვანა. მისი მოთხოვნა გამსახურდიასა და შევარდნაძის მთავრობებს შორის მოლაპარაკების დაწყება იყო. გამტაცებლები მძევლებს ჰუმანურად ექცეოდნენ და მათი გათავისუფლების ოპერაციამაც უმსხვერპლოდ ჩაიარა, მაგრამ მოგვიანებით, მარტში, ჩატარდა კიდევ სპეცოპერაცია, რომელიც მიმალვაში მყოფი ესებუას დაკავებას ისახავდა მიზნად. ამ სპეცოპერაციის დროს გოჩა ესებუა მოკლეს. რამდენიმე დღის შემდეგ კი მის დაკრძალვაზე მომხდარმა აფეთქებამ ხუთი ადამიანი შეიწირა.

2000 ᲬᲔᲚᲘ – ᲔᲚᲘᲐᲕᲐᲡ ᲚᲘᲙᲕᲘᲓᲐᲪᲘᲐ

2000 ᲬᲚᲘᲡ 9 ივლისს ზესტაფონში მოკლეს ზვიად გამსახურდიას მთავრობის პოლკოვნიკი აკაკი ელიავა, რომელმაც, თითქოსდა, მძევლად აიყვანა პოლიციის თანამშრომლები, თუმცა ელიავას ლიკვიდაცია საეჭვო ვითარებაში მოხდა – იმ დროს მკვლელობის მომენტისთვის დანამდვილებით ვეღარავინ იტყოდა, რომ პოლიციელები ელიავას მძევლებად რჩებოდნენ.

2001 ᲬᲔᲚᲘ – ᲝᲠᲯᲔᲠ ᲜᲐᲞᲝᲕᲜᲘ ᲪᲮᲔᲓᲐᲠᲘ

2001 ᲬᲚᲘᲡ 29 მაისს თბილისის ქუჩიდან გაიტაცეს თბილისის ახლანდელი მერის, მაშინ კი „მილანის“ ფეხბურთელის, კახა კალაძის ძმა, ლევან კალაძე. მის გათავისუფლებაში გამტაცებლები 600 ათას დოლარს ითხოვდნენ. ოჯახის წევრები 60 ათასზე დათანხმდნენ, თუმცა პარალელურად პოლიციასაც მიმართეს. ამის შემდეგ გამტაცებლები კავშირზე აღარ გამოსულან.

2005 წელს ლევან კალაძის ნეშტს უპატრონო მიცვალებულების სასაფლაოზე მიაგნეს. გაირკვა, რომ კალაძე გატაცებიდან ერთ თვეში უკვე მოკლული იყო. გვამი მაშინაც იპოვეს, მაგრამ, მიუხედავად საქმის რეზონანსულობისა, არავის მოსვლია აზრად, რომ ის ლევან კალაძის გვამი იყო. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ცხედრის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა, ის იყო, რომ საქმის მასალებში არ არსებობდა ჩანაწერი, თუ რა ეცვა გატაცებულს დაკარგვის დღეს.

2006 წელს, ლევან კალაძის გატაცებისა და მკვლელობისთვის ოთხი პირი დააპატიმრეს: მერაბ ამისულაშვილი, თემურ გაგნიძე, დავით ასათიანი და ლევან ცინცაძე.

2002 ᲬᲔᲚᲘ – ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲘ

2002 ᲬᲚᲘᲡ ივლისში 14 წლის მარიამ გოგინაშვილი წყნეთიდან გაიტაცეს. მის გათავისუფლებაში დამნაშავეები ათიათასობით დოლარს ითხოვდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახმა ფული შეაგროვა და გამტაცებლებს გადაუხადა, გოგონა დღემდე უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიიჩნევა. უამრავ ვარაუდს შორის გამოითქვა ის აზრიც, რომ, სინამდვილეში, მარიამი შურისძიების მიზნით იყო გატაცებული, ხოლო ფული ოჯახს არა გამტაცებლებმა, არამედ სხვა პირებმა გამოსძალეს.

2002 ᲬᲔᲚᲘ – ᲮᲣᲗᲘ ᲗᲕᲔ ᲝᲠᲛᲝᲨᲘ

2002 წელსვე, 18 ივნისს, შვიდმა შეიარაღებულმა პირმა თბილისიდან გაიტაცა „აგრობიზნესბანკის“ თანადირექტორი და კონსულტანტი პიტერ შოუ. მისი გათავისუფლება მხოლოდ 5 თვის შემდეგ მოხერხდა. პიტერ შოუ ჰყვებოდა, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში ორმოში შებორკილი იჯდა. გამტაცებლები მისგან მოითხოვდნენ, ოჯახისთვის წერილი მიეწერა და გათავისუფლების სანაცვლოდ მილიონი დოლარი გადაეხადა.



პიტერ შოუ მაშინ გამოიხსნეს, როცა გამტაცებლებს ის სხვა ადგილას გადაჰყავდათ. პოლიციასთან შეტაკების დროს დამნაშავეებიდან ერთი დაიღუპა, რამდენიმე დაიჭრა, რამდენიმემ კი გაქცევა მოასწრო. უკვე ბრიტანეთში დაბრუნებული პიტერ შოუ ჰყვებოდა: **„წამიყვანეს შტაბში,სადაც უშიშროების მინისტრის მოადგილე შემხვდა და მითხრა: არ ვიცი, აქ როგორ მოხვდი, მაგრამ უსაფრთხო ადგილას კი მოხვდიო“.**

თავდაპირველად პიტერ შოუს გატაცება პანკისელ შოთა (მევლუდ) ჭიჭიაშვილს ბრალდებოდა, მასვე ედებოდა ბრალად პარლამენტარ პეტრე ცისკარიშვილისა და ორი ესპანელი ბიზნესმენის გატაცებაც, თუმცა 2005 წელს ჭიჭიაშვილს პიტერ შოუს გატაცების ბრალდება მოუხსნეს.

რაც შეეხება პარლამენტარ პეტრე ცისკარიშვილს, ის თავის შეყვარებულ ანა სურმავასთან ერთად 2001 წლის 7 მაისს გაიტაცეს პანკისის ხეობაში. მათი გათავისუფლება რამდენიმე დღის შემდეგ მოხერხდა.

2002 ᲬᲔᲚᲘ – ᲡᲜᲐᲘᲞᲔᲠᲘᲡ ᲪᲧᲕᲘᲐ

2002 ᲬᲚᲘᲡ 19 აგვისტოს თავდამსხმელმა ვაგზლის მოედანზე საიუველირო მაღაზია გაძარცვა და 3 მძევალთან ერთად დასავლეთისკენ დაიძრა. ის შეიარაღებული იყო და ხელყუმბარის აფეთქებით იმუქრებოდა. პოლიციამ მოახერხა, თავდამსხმელი მცხეთასთან გაეჩერებინა. რამდენიმესაათიანი მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა. გამთენიისას გამტაცებელი სნაიპერმა მოკლა. „ჩვენ სხვა გამოსავალი არ გვქონდა“, – განაცხადა მაშინდელმა შს მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა.

ᲗᲔᲐ ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲐ
რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტი 2012 წლიდან.

ᲒᲝᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲠᲔᲙᲠᲔᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲖᲝᲜᲐ ᲛᲝᲔᲬᲧᲝᲑᲐ

ᲒᲝᲠᲘᲡ ცენტრში მდებარე, ყოფილი ბაზრის ტერიტორია, რომელიც კერძო საკუთრებაში იყო, გორის მუნიციპალიტეტს გადაეცა და იქ რეკრეაციული ზონა და ახალგაზრდული ცენტრი მოეწყობა, – ამის შესახებ კასპისა და გორის მაჟორიტარულ ოლქში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა, გიორგი ხოჯევანიშვილმა გორში, თემატური პროგრამის პრეზენტაციაზე განაცხადა.

„წლების განმავლობაში, გორის ცენტრში მდებარეობდა ტერიტორია, ყოფილი ბაზრის ტერიტორია, რომელიც კერძო საკუთრებაში, გადადიოდა ხელიდან ხელში ისე, რომ არ განხორციელებულა ინვესტიცია. დღეს, გორელებს და არა მხოლოდ გორელებს, გვაქვს საშუალება, ვაცნობოთ და სასიხარულო ინფორმაცია მოგაწოდოთ იმასთან დაკავშირებით, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით, მოხდა ამ ტერიტორიის გამოსყიდვა და გორის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემა. გორელებს კარგად ახსოვთ, როგორი მახინჯი პრაქტიკით ხდებოდა ქონების სხვადასხვა ორგანიზაციებსა და პირებზე გადაცემა, მაგრამ, გორის ცენტრში, ეს ტერიტორია ნაგავსაყრელად იყო ქცეული. მხოლოდ მსგავსი ტიპის ქველმოქმედების საშუალებით გახდა შესაძლებელი, ქალაქის ცენტრში გვქონდეს თანამედროვე რეკრეაციული ზონა“ – განაცხადა გიორგი ხოჯევანიშვილმა.



ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲓᲐᲣᲜᲘᲡ ᲡᲘᲜᲓᲠᲝᲛᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ მერის მოადგილე ანდრია ბასილაია დაუნის სინდრომის ასოციაციის ცენტრის გახსნას დაესწრო. ასოციაციას, საკუთარი საქმიანობის განხორციელების მიზნით, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ჩიქოვანის ქუჩაზე 96 კვადრატული მეტრი სარემონტო ფართი გადასცა, რომლის გარემონტებაც ორგანიზაციამ ორწლიანი უზუფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე საკუთარ თავზე აიღო. სარემონტო სამუშაოები ოქტომბრის დასაწყისში დასრულდა და მათმა ჯამურმა ღირებულებამ 32156 ლარი შეადგინა.

ცენტრი აერთიანებს საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციის პროექტებსა და პროგრამებს, რომლებიც მოიცავს: დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებისა და მოზარდების განათლებასა და განვითარებას, ოჯახების ინფორმირებასა და გაძლიერებას, ზრდასრულთა დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერას, სპეციალისტების პროფესიულ ზრდას და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.

ამჟამად, ორგანიზაცია აერთიანებს 600-მდე დაუნის სინდრომის მქონე ბავშვის ოჯახს ქვეყნის მასშტაბით. მათ შორის 300-მდე ოჯახს თბილისის მუნიციპალიტეტში.

Ს/Ს „ᲜᲝᲯᲘᲮᲔᲕᲘ“

აცხადებს, რომ მ.წ. 27 ნოემბერს 14:00 სთ-ზე ჩატარდება დამფუძნებელთა კრება დღის წესრიგით:

1. ს/ს-ს სამეურნეო-საფინანსო ანგარიში აუდიტის დასკვნის მიხედვით.
2. სესხის შესახებ
3. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები
4. სხვა საკითხები

მისამართი: ხობი, სოფ. ნოჯიხევი, სტალინის ქ. №13,
ᲡᲡ „ᲜᲝᲯᲘᲮᲔᲕᲘᲡ“ ᲓᲘᲠᲔᲥᲪᲘᲐ

ქართველი კომპოზიტორის წარმატება

ქართველი კომპოზიტორი ანა ქასრაშვილი საერთაშორისო კონკურსის World Soundtrack Awards-ის ერთ-ერთ ნომინაციაში გამარჯვებული გახდა.

ის ახალგაზრდა კომპოზიტორის მიერ შექმნილ საუკეთესო საუნდტრეკის კატეგორიაში დაჯილდოვდა.

World Soundtrack Awards საერთაშორისო მუსიკალური ჯილდოა, რომელიც 2001 წელს ფილმის საუნდტრეკების და მათი კომპოზიტორების დასაფასებლად შეიქმნა. წელს ეს კონკურსი უკვე მეოცედ ჩატარდა.

დაჯილდოება ბელგიაში, გენტში გაიმართა.

დოკუმენტური ფილმი ქართულ ღვინოზე

„ინ ძვევრი ვერიტას“ — ქართული ტრადიციული მეთოდით დაყენებული ქართული ღვინის და ჩვენს შესახებ კიდევ ერთი დოკუმენტური მასალა მზადდება. მისი ავტორი ცნობილი ჟურნალისტი და ბლოგერი ლეონიდ პარფიონოვია, რომელიც უკვე დიდი ხანია, მასალებს საუკეთესო ღვინის მწარმოებლების შესახებ სხვადასხვა ქვეყანაში ამზადებს. ფილმი მზად გაზაფხულზე იქნება.

„კინო სკოლაში“

პროექტი „კინო სკოლაში“ შემოდგომის სეზონს სიახლით იწყებს. ამჯერად მოზარდებს შესაძლებლობა ექნებათ, გამოიყენონ აპლიკაცია „პროპაგანდა კინოში“. აპლიკაცია შექმნილია პროექტ „კინოს კუთხის“ ფარგლებში, „შემოქმედებითი ევროპის“ მხარდაჭერით.

კინომისიონერებთან საინფორმაციო შეხვედრა უკვე გაიმართა, ისინი აპლიკაციის მუშაობის პრინციპებს გაეცნენ.

კორონავირუსის პანდემიის მიუხედავად, პროექტი „კინო სკოლაში“ კვლავ წარმატებით მიმდინარეობს. რეგულაციების დაცვით, საქართველოს 50 სკოლაში გაიმართება ონლაინ გაკვეთილები ახალი კინო საგანმანათლებლო აპლიკაციის გამოყენებით.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

მსოფლიოში უძვირესი FERRARI ახალ პატრონს ელის

Ferrari 250 GT SWB California Spyder-ის მოდელი 1961 წელსაა გამოშვებული და ამ ავტომობილს „ოსკაროსანი“ მსახიობი ჯეიმს კობერნი ფლობდა. ავტომობილი გაყიდვებით მსოფლიო რეკორდსმენია, ამის შესახებ ეუსრსგდე წერს.

ავტომობილი 2008 წლის 23 მაისს აუქციონზე მედია-მაგნატმა კრის ევანსმა რეკორდულ თანხად — 10,9 მილიონ დოლარად იყიდა.

მანამდე 60 წლით ადრე Ferrari 250 GT SWB California Spyder-ის პირველი მფლობელი ჯეიმს კობერნი გახდა. კობერნის თქმით, ეს იყო ერთი ნახვით სიყვარული და მანქანის ყიდვა დანახვიდან რამდენიმე წუთში გადაწყვიტა. მათი „რომანი“ 1986 წელს დასრულდა. მსახიობმა თავი შეუძლოდ იგრძნო და თავისი საყვარელი ავტომობილი გაყიდა.

ვიდრე ავტომობილს მედია-მაგნატი დაეპატრონებოდა, მანამდე ორი მფლობელი შეიცვალა და ავტოაუქციონების ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებულ მანქანად იქცა.

ბოლო მონაცემებით, ფერარის ეს მოდელი მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული 50 მანქანებს შორის ბოლო ადგილზეა. ექსპერტების შეფასებით მანქანის ახალ მფლობელს ამ მოდელში სავარაუდოდ 15 მილიონის გადახდა მოუწევს.

ყველაზე მაღალი მოზარდი

ჩინეთში 14 წლის სკოლის მოსწავლის სიმაღლემ 221 სანტიმეტრს მიაღწია. მან განაცხადი გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენლებთან გადაგზავნა, რადგან „მსოფლიოში ყველაზე მაღალი მოზარდის“ ტიტულის პრეტენდენტია.

ჩინელი მოსწავლე 14 წლის 18 ოქტომბერს გახდა. აქამდე „მსოფლიოში ყველაზე მაღალი მოზარდის“ ტიტულს გინესის წიგნის თანახმად ამერიკელი კევინ ბრეფორდი ფლობდა, რომლის სიმაღლეც 16 წლის ასაკში 216 სანტიმეტრს შეადგენდა

14 წლის ჩინელი ბიჭის სიმაღლე დაავადებით არაა გამოწვეული. ბიჭი ბავშვობიდანვე მეგობრებისგან სიმაღლით გამოირჩეოდა. მშობლებს ის ექიმებთან დაჰყავდათ, თუმცა მედიკოსები არწმუნებდნენ, რომ ბიჭს ჯანმრთელობის პრობლემები არ ჰქონდა. მისი სიმაღლე გენეტიკურია, რადგან, მშობლების და ბებია-ბაბუას სიმაღლე 180 სანტიმეტრს აღემატება.

ბიჭის სიმაღლე 3 წლის ასაკში 160 სანტიმეტრს შეადგენდა, 11 წლის ასაკში კი 206 სანტიმეტრს. ამის გამო სკოლაში მისთვის სპეციალური სკამი და მერხი შეუკვეთეს.

რობოტი დელფინები

ამერიკულმა **საინჟინრო კომპანია** Edge Innovations-**მა შექმნა რობოტი-დელფინი, რომელიც ნამდვილისგან არ განსხვავდება. გამომგონებლების მიზანია, აკვაპარკებსა და დელფინარიუმებში დელფინების რობოტებით შეცვლა.**

ასევე კომპანიის წარმომადგენლებს იმედი აქვთ, რომ რობოტი დელფინების გამოყენება ჰოლივუდის ფილმებშიც მოხდება. რობოტები ცოცხალ ზღვის ცხოველებს ჩაანაცვლებენ.

კომპანიის ხელმძღვანელის უოლტ კონტის განცხადებით, ლაპარაკია 3000 რობოტ დელფინზე, რომელიც ცოცხალ დელფინს სხვადასხვა შოუებში ჩაანაცვლებს, რადგან ევროპის 20 ქვეყანაში დელფინების შოუებში მონაწილეობა უკვე აკრძალეს.



რობოტი დელფინის სიგრძე 2,5 მეტრია და 250 კილოგრამს იწონის. მისი კანი სამედიცინო სილიკონისგანაა დამზადებული. ერთი რობოტის ფასი 3-დან 5 მილიონ დოლარამდეა.

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 29 ოქტომბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.2202; ევრო - 3.8137;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.2098;
100 რუბლი - 4.2174; თურქული ლირა - 0.4046;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8942;
1000 სომხური დრამი - 6.5296.

ამინდი 27 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+6,	დღე	+23
მთიანი რაიონები -	ღამე	+2,	დღე	+23
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+13,	დღე	+28
მთიანი რაიონები -	ღამე	+9,	დღე	+26
თბილისი:	ღამე	+9,	დღე	+24

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge